საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 15 თებერვალი. 2017 წ. №35 (8172), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გვარამიას ჯოჯოხეთი გრძელდება!

დიდხანს სიცოცხლე ჩვენს უწმინდესს...



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გუშინ პალატაში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა დამაკ-მაყოფილებელია. როგორც ბერლინში მყოფი სასუ-ლიერო პირები ამბობენ, პატრიარქის ჯანმრთელო-ბის მდგომარეობა „ძალიან კარგია“. ბერლინში, კლი-ნიკაში იმყოფება სდსს-ს უფროსი ანზორ ჩუბინიძე, რომელიც ასევე აცხადებს, რომ პატრიარქი სამშობ-ლოში, სავარაუდოდ, კვირის ბოლოს დაბრუნდება.



რამაზ საყვარელიძე: 5 სრული ზნეობრივი ნიჰილიზმი

ქეთევან მაღლაკელიძე: სისულელეა ეს ყველაფერი!

დეკანოზ გიორგი მამალაძის დედამ პირველი კო-მენტარი გააკეთა. ქეთევან მაღლაკელიძეს პროკურატუ-რის მიერ გავრცელებული ვერსიის არ სჯერა.

„ინფორმაციას ტელევიზიით ვიგებთ, რადგან ჩვენი შვილი იყე-ნებდა დუმილის უფლებას, ჩვენც არ ვლაპარაკობდით. როგორ შეიძლება, მღვდლის დედას სჯე-როდეს იმ ინფორმაციის, რაც პროკურატურამ განაცხადა. ჩემი შვილი ეკლესიაში არც ქუჩიდან და არც მხედრიონიდან მისულა, არა-მედ შეგნებით ჰქონდა გადაწყვეტილი. პატრიარქის გამო ოჯახს გადაწევს უკანა პლანზე. ამიტომ სისულელეა ეს ყველაფერი. მუქა-რასთან დაკავშირებით არაფერი ვიცით, მას თავისი სამსახურე-ბრივი მოვალეობა ჰქონდა და მას-ზე არ საუბრობდა,“ — განაცხადა ქეთევან მაღლაკელიძემ. ქეთე-ვან მაღლაკელიძის თქმით, მი-სი შვილი ოჯახის უსაფრთხოდ ყოფნას ითხოვს, რისი საფუძვე-ლიც მას აქვს.

„ეს არის გიორგის სახლი, ჩხრეკა აქ არ ჩატარებულა. არა-ვის შეუტყობინებია, რომ ის დააკავეს. ბოლოს პარასკევს ვე-საუბრეთ, გერმანიაში უნდა წა-ვიდეო, რატო მიდიოდა, არ ვი-ცოდი. ჩემი ერთადერთი მოთხოვნაა, რომ ჩემი შვილი იყოს ჯანმრთელად, რადგან გულის ოპერაცია აქვს გაკეთე-ბული,“ — განაცხადა მამა გი-ორგის დედამ.

მიხეილ ჯიბუტი: ვიზა-ლიბერალიზაცია – ახალი „ზაციის“ დასაწყისი საქართველოსთვის!

დეკანოზი გიორგი მამალაძე სასულიერო პირებთან შეხვედრას ითხოვს

ბრალდებული დეკანოზი **გიორგი მამალაძე სასულიერო პირებთან შეხვედრას ითხოვს,** — აცხადებს დაპატიმრებულ დეკანოზთან შეხვედრის შემ-დეგ ადვოკატი გიორგი ფანცულაია. მისი თქმით, ბრალ-დებული არის სასულიერო პირი, რომელსაც აქვს კანონი-კური წესები და თუნდაც ჩვენება მისცეს და ისაუბროს ბრალდებებზე, შესაბამისი იერარქიის პირებისგან სჭირ-დება კურთხევა.

„მამაოს პოზიცია არის ის, რომ როცა შეძლებს საუბარს, ისაუბრებს კომპლექსურად. ის ასევე ამბობს, რომ არის სასუ-ლიერო პირი, რომელსაც აქვს კანონიკური წესები, თუნდაც იმისთვის, რომ მან მისცეს ჩვენება და ისაუბროს ბრალდებებზე, ყველაზე მინიმუმ შესაბამისი იერარქიული პირებისგან სჭირ-დება კურთხევა. იმედი მაქვს, რომ სასულიერო პირებთან უახ-ლოეს მომავალში შეძლებს კო-მუნიკაციას“, — განაცხადა ფან-ცულაიამ.

გარდა ამისა, დაცვის მხარე მოითხოვს, პროკურატურამ გა-აუქმოს გაუთქმელობის პირო-ბა. ადვოკატის თქმით, გაუთქ-მელობის პირობიდან გამომდი-ნარე, ვერ ისაუბრებს იმ დეტა-ლებზე, რომელიც შეეხება სა-ხალხო დამცველის გაკეთებულ განცხადებას.

რაც შეეხება დაკავებული დე-კანოზის ჯანმრთელობის მდგომა-რეობას, ადვოკატის ინფორმა-ციით, მამა გიორგი მამალაძეს მა-ღალი ტემპერატურა აქვს. მისი-ვე თქმით, დეკანოზს ექიმები ყუ-რადღებას აქცევენ და ამ მიმარ-თულებით მას სასჯელაღსრუ-ლების დაწესებულების ადმინის-ტრაციასთან არანაირი პრეტენ-ზია არა აქვს.



ოთარ ხუციშვილი: ხელისუფლება დებატებშია ჩაფლული, ქვეყანა – სიღარიბეში 6

სამეგრელოს მხარე

ხეივანი, რომელიც საუკუნენახევრისაა 7

ზღვარდაუდებელი უსინდისობა

სამშობლოს მოღალატეებისა და გამყიდველების ადგილი ციხეშია! 3

აპოკალიფსი მეცნიერულად,

ანუ რამდენი ნაბიჯი დაგვრჩა საყოველთაო კატასტროფამდე? 9

ნიკა გვარამია შსს-ში გამოკითხვაზე არ წავიდა!

„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოკითხვაზე არ წავიდა. მისი თქმით, შსს-ს მიერ წარმოებულ გამოძიებას არ ენდობა!

„გამოკითხვაზე არ მივდივარ. მე არ ვენდობი შინაგან საქმეთა სამინისტროს, მე არ ვენდობი იმ სამინისტროს, რომელიც აყალბებს ექსპერტიზის მონაცემებს ხელისუფლების დაკვეთით. მე ვიყენებ უფლებას საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებულს და ვითხოვ დაკითხვას სასამართლოს მეშვეობით. თუ სასამართლო ჩათვლის ამას საჭიროდ, მე მზად ვარ, გამოვცხადდე და მივცე ჩვენება სასამართლოს მეშვეობით“, — განაცხადა გვარამიამ.

გუშინ გვარამია კიდევ ერთხელ დაემუქრა დღევანდელ ხელისუფლებას და „რუსთავი-2“-ის მხარდამჭერებს კვირას, 14.30 სთ.-ზე, რუსთაველზე, პარლამენტის წინ, ნაციონალურ მიტინგზე ეპატიჟება.

უზრდელი და მოქალაქე გვარამია გუშინ მოტყუებულმა უდუმაშვილმაც გაახმოვანა!

სამაუწყებლო **კომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე ზაალ უდუმაშვილი ნიკა გვარამიას დაკავებას არ გამორიცხავს. ამასთან, ის ადასტურებს, რომ ჩანაწერში მესამე პირიც ფიგურირებს და თანხაზე საუბარი სწორედ ტელეკომპანიის ვალებს ეხება.**

ამის შესახებ განცხადება უდუმაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა.

„ჩვენ რამდენიმე ადამიანმა მოვუსმინეთ სრული ვერსია ამ ჩანაწერისა... ვადასტურებ, რომ აქ მიმდინარეობს სამ პირს შორის საუბარი. აგრეთვე იმ ფაქტს, რომ, როდესაც საუბარია მილიონებზე, მილიონების გასტუმრებაზე, ეს მიდის მესამე პირთან საუბარი და საუბარია ტელეკომპანიის ვალების დაფარვის მექანიზმებზე. დღეს სრულიად გაუგებარია ის ყველაფერი, რაც ჩვენ დღეს დილიდან ვიხილეთ,“ — განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

ამასთან, მან ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ არ გამორიცხა, რომ ხელისუფლება ნიკა გვარამიას დაკავებას გეგმავდეს.

„ამ დღევანდელი განცხადებებიდან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან არაფერს აღარ გამოვრიცხავ, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ყველა ვხვდებით, რომ „რუსთავი-2“-ის საკითხის გადაწყვეტა ბოლო სტადიაშია და დღეების საკითხია, რომ გამოცხადდეს გადაწყვეტილება. არაფერს აღარ გამოვრიცხავ, მათ შორის არც „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის დაკავებას,“ — განაცხადა ზალიკო უდუმაშვილმა.

უდუმაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლების ზეწოლის მიუხედავად, „რუსთავი-2“ გააგრძელებს მუშაობას ისე, როგორც აქამდე მუშაობდა.

„მინდა, მივმართო ხელისუფლებას და იმ პრიმიტიულ ადამიანებს, რომლებმაც ასეთი სცენარი მოიფიქრეს და დაგეგმეს, — ბატონებო, თქვენ თუ გგონიათ, რომ ნიკა გვარამიას დაკავებით ან დროებითი განეიტრალებით თქვენ „რუსთავი-2“-ს ხონჩაზე მიიღებთ, ძალიან ცდებით.

„რუსთავი-2“-ში 1000-მდე ადამიანი მუშაობს, რომელიც სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებს ამ ტელეკომპანიისთვის. არც ერთ ნაბიჯით არავინ არ დაიხევს უკან. ამის პირობას ვდებ მე, ზაალ უდუმაშვილი, რომელიც წლებია, ამ ტელევიზიაში ვმუშაობ და ჩემთან ერთად დებს ის ხალხი ამ პირობას, რომელსაც თქვენ აქ უყურებთ და კიდევ ის ასეულობით ადამიანი, რომელიც ამ შენობაში იმყოფება,“ — განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

* * *

> რა თქმა უნდა, მწარედ მოტყუებული ზაალ უდუმაშვილის ამ პროვინციულ მუქარას კომენტარი არ სჭირდება. ნაცების ჯიბის ტელევიზიამ ნიღაბი ბოლომდე ჩამოიხსნა და უტიფარი გადაბრალება-გადმობრალების, ანუ ახალი სიცრუის ბინძურ გზას დაადგა!
>
> ყოველგვარი სისაძაგლის მკადრებელი გვარამია და „მისი ტელევიზია“ ისევ ჯოჯოხეთის „რეჟიმში“ მუშაობს.

აშშ არ აღიარებს უკანონო რეფერენდუმის შედეგებს!

აშშ-ის საელჩო საქართველოში სამხრეთ ოსეთის რეგიონში დაგეგმილ ე.წ რეფერენდუმს ეხმაურება და მას პროვოკაციულ ქმედებად აფასებს:

„აშშ-ის საელჩო გმობს არალეგიტიმური „რეფერენდუმის“ ჩატარების გადაწყვეტილებას საქართველოს სამხრეთ ოსეთის რეგიონში, რომელიც 9 აპრილს არის დაგეგმილი. ასეთი პროვოკაციული ქმედებები კარგავს ნდობას და აკნინებს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მნიშვნელობას. ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს იმ უკანონო რეფერენდუმის შედეგებს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე გაიმართება. ორივე რეგიონი, სამხრეთ ოსეთიცა და აფხაზეთიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს. ჩვენ კვლავ მკაფიოდ ვუჭერთ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს, როგორც ფორუმს, სადაც განიხილება საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში არსებული მდგომარეობა. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, თავი აარიდონ ქმედებებს, მათ შორის შემოთავაზებულ რეფერენდუმს, რომლებიც ჟენევის მოლაპარაკებების მნიშვნელობას აკნინებს“.

როგორ დავიცვათ ხმაური?

ხმაურის საკანონმდებლო რეგულირებისა და ხმაურის ნორმების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულომ პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება წარადგინა. საკანონმდებლო წინადადება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი შინაარსის 771 მუხლის დამატებას ითვალისწინებს, რომელიც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად, საქართველოს ბიზნეს-ომბუდსმენმა, სახალხო დამცველმა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განიხილეს.

პარლამენტის წევრის ლევან გოგიჩაიშვილის განცხადებით ჭარბი ხმაურის შედეგად ირღვევა ადამიანის კონსტიტუციური უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელ და უვნებელ გარემოში.

„ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ აღნიშნულ საკითხზე, რომ ერთად გადავწყვიტოთ ეს პრობლემა ისე, რომ ერთი მხრივ, დავიცვათ ადამიანის უფლებები და, მეორე მხრივ, არ დავაზარალოთ კერძო ბიზნესი და ხელი არ შევუშალოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას,“ — განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

„ევროპაში შესვლა მხოლოდ ვიზალიბერალიზაცია არ არის, თუ ევროპული გზა ავირჩიეთ, ადამიანის უფლებები დაცული უნდა იყოს და საცხოვრებელი გარემო — ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის უვნებელი“, — აღნიშნა დეპუტატმა სალომე ზურაბიშვილმა.

საკანონმდებლო წინადადების მომზადების აუცილებლობა ბიზნეს-ომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ძნელაშვილიც მიიჩნევს. მისი თქმით, მოქალაქე, რომელსაც აქვს ნორმალური ძილისა და მოსვენების უფლება, არ უნდა იყოს შეწუხებული ხმაურით, მაგრამ მისივე მოსაზრებით, კარგი იქნებოდა, საკანონმდებლო წინადადების ავტორს მოეხდინა რეგულირების გავლენის შეფასება აღნიშნულ საკითხზე.

სასამართლომ ზვიად ჯანყარაშვილის სარჩელი ირაკლი კორძაიას წინააღმდეგ არ დააკმაყოფილა

სასამართლომ **ცილისწამებლური ფაქტების უარყოფის საქმეზე ზვიად ჯანყარაშვილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. დავა ეხებოდა ირაკლი კორძაიას მიერ ტელეკომპანია „იმედში“ ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობის საქმეზე გაკეთებულ კომენტარს. ირაკლი კორძაიას ინტერესებს სასამართლოში საია იცავდა.**

ზვიად ჯანყარაშვილი ითხოვდა ირაკლი კორძაიას მიერ გაკეთებული იმ განცხადების ცილისწამებად მიჩნევას, სადაც ის აცხადებდა, რომ ირაკლი კორძაია, ამბობდა ზვიად ჯანყარაშვილსა და გია უდესიანს საერთო ბიზნესინტერესები ჰქონდათ. მისივე განცხადებით, ზვიად ჯანყარაშვილი შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსად მუშაობის პროცესში აფერხებდა ბესო ხარძიანის საქმის გამოძიებას.

საიას მიაჩნდა, რომ ირაკლი კორძაიას მიერ გაკეთებული განცხადებები წარმოადგენდა აზრს და არა ფაქტს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით კი აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. სასამართლომ არ გააზიარა მოსარჩელე ზვიად ჯანყარაშვილის არგუმენტები, მიიჩნია, რომ ირაკლი კორძაიას მიერ გაკეთებული განცხადება იყო შეფასება და მსჯელობა.

თბილისის მეტროს ვაგონებში ორენოვანი რუკები განთავსდება

მგზავრთა **მეტი კომფორტისთვის, თბილისის სატრანსპორტო კომპანიისა და ორგანიზაცია „ურბანული ლაბორატორიის“ ინიციატივით, მეტროს ვაგონებში სამარშრუტო რუკები განთავსდება.**

მერიის ინფორმაციით, პროექტის მიზანი ჩვენი მოქალაქეებისა და ტურისტებისთვის მეტი კომფორტის შეთავაზებაა. თბილისის მეტროს რუკა ორენოვანია, რუკაზე მეტროს სამარშრუტო სქემასთან ერთად დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებია წარმოდგენილი, რაც მგზავრებს საშუალებას მისცემს, მარტივად დაგეგმონ მგზავრობა. რუკების განთავსება მეტროს ვაგონებში უახლოეს დღეებში დასრულდება. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია არასამთავრობო ორგანიზაცია „ორბელიანი“ და შვედეთის მთავრობა. თბილისის სატრანსპორტო კომპანია მადლობას უხდის ორგანიზაცია „ორბელიანს“, „ურბანულ ლაბორატორიასა“ და ყველა იმ პირს, ვინც ჩართული იყო აღნიშნული პროექტის განხორციელებაში.

მამუკა მდინარაძე: ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ გვარამია იტყუებოდა

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით, „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას ტყუილში ადანაშაულებს.

მამუკა ახვლედიანი: ისეთ მოსამართლეებს შეუწყვიტეს. („მერე?“) არაფერი. სათადარიგო მოსამართლე დავნიშნე და 6 ოქტომბერს ეწურება ვადა და მანამდე უნდა დაემთავრებინა საქმე.

„ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ გვარამია იტყუება, როდესაც ამბობდა, თითქოს ჩანაწერი იყო ნაწილობრივ ავთენტური. ვფიქრობ, რომ მას ჰქონდა გარკვეული მიზანი — კონკრეტული დეტალების აღიარება არ სურდა. დღეს ნათელი გახდა, რომ მთელი პიარკამპანია, რაც აქამდე აწარმოა და, რასაც დღესაც აწარმოებს, სწორედ ამის გადასაფარად იყო,“ — აცხადებს მამუკა მდინარაძე.

ზღვარდაუდებელი უსინდისობა

სამშობლოს მოღალატეებისა და გამყიდველების ადგილი ციხეშია!

ძველ სიბრძნეს, „ყველაფერს აძვს ზღვარი“, დიდი ხანია, წყალი შეუდგა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ცალკეული წევრების „მოღვაწეობით“. ამ ახალი ყალიბის უცხო სხეულთა (პოლიტიკის ენაზე – მარგინალთა) თავხედობას, უტიფრობას, უსინდისობას, უნამუსობას, უზნეობას, როგორც მთლიანობაში, ისე ერთეულ შემთხვევებში, ნამდვილად არა აძვს ზღვარი.

ეს ერის მოღალატეები და ქვეყნის გამყიდველები, რომელთა მამხილებელი ფაქტებიც, არაერთგზის, უხვად მიეწოდა საზოგადოებასაც და შესაბამის ორგანოებსაც, რაც დრო გადის, უფრო მეტი გაშმაგებით აფრქვევენ ირგვლივ სიბინძურეს და საქმე იქამდე მივიდა, რომ დაუსჯელობით გათამამებულები, ახლა უკვე „მოღალატის“ იარლიყების დარიგებაზე გადავიდნენ („გაზპრომთან“ ხელშეკრულება, ცერცვაძის საქმე)...

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ხელისუფლების მიერ ჩადენილი ღალატის თემაზე არაერთი წერილი მაქვს გამოქვეყნებული, მიზანშეწონილად და დროულად მიმაჩნია, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ მას. არ დავიღლები საქართველოს მტრებისა და სამშობლოს მოღალატეებისა და გამყიდველების მიმართ სამართლიანი სასამართლოს აღსრულების მოთხოვნის იმდენჯერ გამეორებით, ვიდრე მიზანი არ იქნება მიღწეული. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, რადგან ეს ღირსების საქმეა... და კიდევ – სადაც არ არის სამართლიანობა, იქ არ არის მშვიდობა.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებიდან რვანახევარი წელი გავიდა, ძიების საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. არც პოლიტიკური შეფასება გაკეთებულა, რომ სამართალმა ნაწილობრივ მაინც იზეიმოს. ის, რომ საერთაშორისო ინსტიტუციამ მიიღო გამოძიების ჩატარების გადაწყვეტილება და ამისთვის პასუხისმგებელი პირიც შეარჩია (პროკურორი მანსუდა), ოდნავადაც არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. უბრალოდ, არ მჯერა, რომ გამოძიება იქნება დროული და სამართლიანი, თუ საქართველოს ხელისუფლება პარალელურ რეჟიმში არ იმუშავებს იმავე მიმართულებით.

დიახ, არ მჯერა, რომ საერთაშორისო გამოძიება იქნება დროული და სამართლიანი, რადგან ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილ ამ უმძიმეს დანაშაულში ერთი სავარაუდო დამნაშავეა რუსეთი, რომლის მიმართაც, „იქ“, როგორც წესი, გადაწყვეტილებები მიიღება ხოლმე პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე სავარაუდო დამნაშავეა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, რომლის პირველი პირიც, მრავალ დანაშაულში მხილებული და საერთაშორისო ძებნილი მიხეილ სააკაშვილი, მის ძველ ლობისტებს, „საერთაშორისო სამართლის“ ცხვირწინ, საიმედო თავშესაფარში ჰყავთ გახიზნული, კაცმა არ იცის, ძველი „დამსახურებებისთვის“, თუ ახალი მძიმე სცენარების განსახორციელებლად.

საუკუნეების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენ გასაკეთებელ საქმეს სხვა არ გააკეთებს და მაინც, პირვანდელი ჟღერადობით გაისმის კითხვა: რატომ არ ხდება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიება? მითუმეტეს, როცა საქმის ნახევარზე მეტი უკვე გაკეთებულია ჩვენი პარტნიორების მიერ (ტალიავინის კომისიის დასკვნა). ნაცვლად იმისა, რომ მრავალ დანაშაულში უკვე მხილებული რეჟიმი „კედელთან ჰყავდეს მიყენებული“, ხელისუფლება თვითონ იყენებს თავს თავის მართლების რეჟიმში.

საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ხელისუფლება მუდმივად ცდილობს „დაუმტკიცოს“ „ნაცების“ პროპაგანდისტულ მანქანას, რომ „მოღალატე“ არაა, რომ რუსეთის დავალებებს არ ასრულებს, რომ „მათსავით“ პროდასავლური ორიენტაციისაა და ეს ხდება იმ პირობებში, როცა საქმეში ჩახედული ნებისმიერი ქართველისთვის ცხადზე უცხადესია, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ სარუსეთო დავალება შეასრულა.

მივყვეთ ქრონოლოგიას და მხოლოდ შიშველი ფაქტებით ვილაპარაკოთ: პროცესი 2004 წლის 6 მაისიდან იღებს სათავეს. თეთრ ცხენზე მჯდარმა (თუ დასმულმა) სააკაშვილმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ბათუმიდან „დააანონსა“, რომ სექტემბერში ცხინვალში შევიდოდა, ხოლო 23 ნოემბრის გიორგობას სოხუმში აღნიშნავდა. ამის შემდეგ დაიწყო თანმიმდევრულ აქტივობათა სერიალი, რაც მთლიანად 8 აგვისტოს შემზადებას ემსახურებოდა, სწორედ იმ დასასრულით, რა შედეგიც მივიღეთ.

პირველი იყო ერგნეთის ბაზრობის, ქართულ-ოსური თანაცხოვრების ერთგვარი ხიდის, გაუქმება, რასაც მოჰყვა (მთელი ზაფხულის განმავლობაში) პროვოკაციათა ჯაჭვი – ავანტიურისტული, უგუნური გამოხდომები, იარაღის ჟღარუნის თანხლებითა და მძიმე შედეგებით. ამ ყველაფერს სამარცხვინო და საბედისწერო ფინალი ჰქონდა: ყველას მწარედ გვახსოვს, ქართულენიფორმიანი, მუხლებზე დაჩოქილი რამდენიმე ათეული ახალგაზრდა და კვლავ მტრობაში გადაზრდილი, რის ვაივაგლახით აწყობილი ყოფითი კავშირურთიერთობები.

შემდეგ, კოდორის ხეობისთვის (დალის ხეობისთვის) ახალი სახელის – ზემო აფხაზეთის(?) დარქმევა და ცხინვალის რეგიონისთვის (სამაჩაბლოსთვის) ძველი, საბჭოთა პერიოდის სახელისა და, ფაქტობრივად, საბჭოურივე სტატუსის დაბრუნება;

შემდეგ, კოდორის ხეობაში ადგილობრივი მცხოვრებლებით დაკომპლექტებული შეიარაღებული რაზმის, „მონადირის“ გაუქმება და სამთავრობო ნაწილების შეყვანა (უდიდესი პროვოკაცია, საერთაშორისო მანდატით მოქმედი რუსი სამშვიდობოების პირობებში);

შემდეგ იყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიაში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება (დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული ანალოგიური არჩევნების პარალელურად). ამ აქტით, ნაცხელისუფლების მიერ, ფაქტობრივად მოხდა როგორც მის მიერვე აღდგენილი ავტონომიური წარმონაქმნის, ისე დე ფაქტო მოქმედი პრეზიდენტის უფლებების (სტატუსების) „გაპრავება“. ამ ყველაფერს, მუდმივად, ფონად სდევდა ფსევდოაგრესიული რიტორიკა (როგორც წესი, მსგავსი თამაშების ნაწილია და რეალური გეგმის შენიღბვას ემსახურება) როგორც ოსური მხარის, ისე რუსეთის უმაღლესი ხელისუფალის მისამართით.

იმავდროულად, პარალელურ რეჟიმში, ფართოდ ეხსნება კარი რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს. ინტერვენცია იმდენად მასშტაბურია, რომ ქართველი ეკონომისტები არ ერიდებიან ისეთი მძაფრი შეფასებების გაკეთებას, როგორიცაა – „საქართველოს ეკონომიკის საკონტროლო პაკეტი რუსეთის სახელმწიფოს ხელშია“. მართლაც, კომენტარი ზედმეტია.

უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სააკაშვილს გვერდიდან არ მოშორებია ათეული წლების განმავლობაში ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდგომ რუსეთის მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკი, ამ ქვეყნების სპეცსამსახურების განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი თემურ ალასანია. საინტერესოა, რომ მისი როლი ოფიციალურად იყო გამყარებული მრჩევლის სტატუსით და არც ის იყო დამალული, რომ საქართველოს მოქალაქე პოლიტიკოსებსა და ჩინოვნიკებზე მეტი გავლენით სარგებლობდა პრეზიდენტის კარზე (თემურ ალასანია დღესაც რუსეთის ერთგულ მოქალაქედ რჩება და კითხვაც არ უნდა იბადებოდეს, ვის ინტერესებს დაიცავდა რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობების პირობებში.)

ყველაფერი, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, უტყუარი ფაქტებია. მათ ერთობლიობას და მოვლენათა განვითარების ლოგიკას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გეგმაზომიერად ხორციელდებოდა აგრესორი სახელმწიფოსთვის ჩვენი ტერიტორიების გადაცემის პოლიტიკა.

ბუნებრივია, პასუხს მოითხოვს კითხვა – რა აუცილებლობა, უფრო სწორად, რა იძულება განაპირობებდა ამ მძიმე არჩევანს?

ქართულ პოლიტიკაში პროდასავლური, ან პრორუსული არ არის ღირებულებითი კატეგორიის ცნებები. ისინი აღნიშნავენ ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის მზადყოფნას, თავის სამშობლოში ემსახუროს აშშ-ის, ან რუსეთის ინტერესების გატარებას. ქვეყნის ბოლშევიკურ-ნაცისტური მეთოდებით მმართველი სააკაშვილის პროდასავლურობაზე საუბარი დასავლური ფასეულობების (თავისუფლება, სამართლიანობა, დემოკრატია) შეურაცხყოფაა. სააკაშვილის და მსგავსი მენტალური წყობის ადამიანებისთვის ყველაფერს პირადი ინტერესი, პირადი ამბიცია განსაზღვრავს. როცა პირადი ინტერესი და ამბიცია წინ უსწრებს სახელმწიფო ინტერესებს, ეს ინტერესი და ამბიცია ავადმყოფურია.

ძალაუფლების ხიბლით შეპყრობილი ადამიანი (ადამიანები) ბევრ რამეზეა წამსვლელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძლიერი ხელისთვის, რუსული იქნება ეს თუ ამერიკული (ან ორივე ერთად), სურვილის შემთხვევაში, ადვილია მისი (მათი) მართვა.

ამავე კონტექსტში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ფულის თემას. ცნობილია, რომ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის გამოყოფილი იყო რამდენიმე მილიარდი დოლარი. კითხვა ამ თანხის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით აგვისტოს ომამდეც ხშირად ისმოდა, ხოლო სამარცხვინო კაპიტულაციის შემდეგ მან კიდევ უფრო მძაფრი ჟღერადობა შეიძინა. მართლაც, სად იყო ის შეიარაღება და ქართული სარდლობის ის შემართება, რომელსაც „ყველა მტერთან გამკლავება შეუძლია“? (სააკაშვილის სიტყვებია). არახალია, ძველია, რომ ომზე მდიდრდებიან. ისიც არახალია, რომ „ომი ყველაფერს ჩამოწერს“.

იარაღის თემა და მასთან დაკავშირებული მილიარდები შესაბამის უწყებათა კვლევის საგანია. ადვილი შესაძლებელია, რომ მან საერთაშორისო მასშტაბიც შეიძინოს, რადგან, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში წარმოჩნდება ხოლმე ზემოთ ხსენებული ტრანს-ეკონომიკური ინტერესები უარყოფით კონტექსტში. შეხსენებისთვის, ამასთან დაკავშირებით არაერთხელ ღიად გახმაურდა თემურ ალასანიას სახელიც (მხედველობაში მაქვს ირაკლი კაკაბაძის უაღრესად საყურადღებო, მამხილებელი პუბლიცისტური წერილები).

აუცილებლად შესასწავლია ომის შემდგომი პერიოდის მოვლენათა განვითარებაც. ავადსახსენებელი აგვისტოდან გარკვეული დროის შემდეგ მოვისმინეთ აშშ-ის მაღალი პასუხისმგებლობის პირების – კონდოლიზა რაისის, ჯონ ტეფტის და თქვენ წარმოიდგინეთ, მეთიუ ბრაიზას – „გულისშემძვრელი აღსარებები“, თუ როგორი უმართავი (ყველაზე რბილი შეფასებით) გახდა „მიშა“ აგვისტოს წინა პერიოდში. მოდით და ნუ გაგვიკვირდება, რომ „უმართავმა“, ზემოთ ჩამოთვლილი შემფასებლების უშუალო ჩართულობით, „ომის ზარალის სალიკვიდაციოდ“, დამატებით, დახმარების სახით, პირად განკარგვაში მიიღო 4,5 მილიარდი დოლარი, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაცხელისუფლების გაძლიერებას უფრო ხმარდებოდა, ვიდრე მძიმე პრობლემების მოგვარებას.

ნებისმიერ პოლიტიკურ თემაზე საუბრის დროს იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ საქართველო ორი ზე სახელმწიფოს დაპირისპირების ასპარეზია, გარკვეული თამაშის წესების დაცვის პირობით, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთი რომელიმეს აქტიურობა მტკივნეული შედეგების მომტანი არ უნდა იყოს მეორის ინტერესებისთვის (მსგავსი პროცესებია უკრაინაშიც). ყოფით ენაზე რომ ვთქვათ, ამ თამაშში არც ამერიკა და არც რუსეთი არ უნდა დარჩეს წაგებული, ორივემ რაღაც უნდა მიიღოს, ანუ ბოლოს ყველაფერი მორიგებით მთავრდება.

დამეთანხმებით, თემა აქტუალობას არ კარგავს, პირიქით, დროში მეტ სიმძაფრეს იძენს. აღნიშნული საკითხის კიდევ ერთხელ გამოტანა საზოგადოების სამსჯავროზე, ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ახალ რეალობაში, რაც შეიქმნა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისა და აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე.

ფაქტებისა და მოვლენებისთვის სახელების დარქმევის დრო დამთავრდა!

საბოლოო გადაწყვეტილების, სამართლიანი განაჩენის გამოტანის დრო!

ბიძინა დვალი

ცნობილია, რომ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის გამოყოფილი იყო რამდენიმე მილიარდი დოლარი. კითხვა ამ თანხის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით აგვისტოს ომამდეც ხშირად ისმოდა, ხოლო სამარცხვინო კაპიტულაციის შემდეგ მან კიდევ უფრო მძაფრი ჟღერადობა შეიძინა. მართლაც, სად იყო ის შეიარაღება და ქართული სარდლობის ის შემართება, რომელსაც „ყველა მტერთან გამკლავება შეუძლია“? (სააკაშვილის სიტყვებია). არახალია, ძველია, რომ ომზე მდიდრდებიან. ისიც არახალია, რომ „ომი ყველაფერს ჩამოწერს“.

ვიზალიბერალიზაცია - ახალი „ზაცის“ დასაწყისი საქართველოსთვის!

2017 წლის 2 თებერვალი, როდესაც ევროპარლამენტმა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის მიღებას დაუჭირა მხარი, ერთმნიშვნელოვნად სამახსოვრო თარიღი გახდა საქართველოს ისტორიაში. ევროპარლამენტში საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა 553 დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო – 66, ხოლო 28-მ თავი შეიკავა. ამა წლის მარტის ბოლოდან ეს გადაწყვეტილება უკვე პრაქტიკულად განხორციელდება.

უპირველეს ყოვლისა, დადგინდა ევროკავშირის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლისა და საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში შესვლისთვის სიმეტრიული პირობები. მანამდე რა იყო? მათ, როცა უნდოდათ და ვისაც უნდოდა, შეეძლოთ მობრძანება ჩვენთან, მაშინ როდესაც ჩვენ, მხოლოდ შერჩევით შეგვეძლო მათთან წასვლა.

ახლა მისვლა-მოსვლის საკითხი გადაწყდა. მართალია, ქვეყანაში ყოფნის პირობები იმათთვის ჩვენთან და ჩვენი იმათთან განსხვავებულია. ჩვენი დამოკიდებულება „საუცხოოა“, იმათი „წამახალისებელი“. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ მოიქცევიან ქართველები ევროპაში. ე.წ. „შეჩერების მექანიზმი“ ქართველებს რაღაცნაირ კოლექტიურ პასუხისმგებლობას ანიჭებს კანონის წინაშე. თუ ქართველები დაარღვევენ „სამთვიან ლიმიტს“, მაშინ შეიძლება კარი ევროპაში დაიკეტოს... მთელი საქართველოსთვის?!

ცოტა გაურკვეველი მექანიზმია. რამდენმა კაცმა – საქართველოს მოქალაქემ უნდა დაარღვიოს უვიზო რეჟიმის წესები, რომ საქართველოს მოქალაქეები ერთიანად „დაისაჯონ“ სავიზო რეჟიმით? მოქალაქის საქციელზე შეიძლება მთელი ქვეყანა აგებდეს პასუხს?

ეს მიდგომა, არც ლიბერალური და არც სოციალისტური (ევროპული) გაგებით, პიროვნების თავისუფლების პრინციპებთან აქამდე ცნობილ მიდგომებთან სრულ შესაბამისობაში ვერაა.

როგორც არ უნდა იყოს, უვიზო რეჟიმი ბევრ სიტუაციაში კომფორტულია საქმიანი ადამიანებისთვის, სწავლის მსურველთათვის, ტურიზმისათვის და ა.შ. ის არ ქმნის ევროპაში დასაქმებისთვის რაიმე ახალ შესაძლებლობებს. ეს შესაძლებლობები რჩება იგივე, რაც მანამდე იყო. ის, პირიქით, რეადმისიის კანონთან ერთად კუპეში, ააადვილებს ევროკავშირის სახელმწიფოებისთვის ევროპაში არალეგალურად დასაქმებულთა, ან მცხოვრებთა საქართველოში დეპორტაციის პროცესს!

ვიზალიბერალიზაციის მიღებით საქართველოს რაიმე უპირატესობების ძიება იმ ქვეყნებთან შედარებით, ვისაც მისი მიღების სურვილი აქვს, მაგრამ ჯერ ვერ მიიღო – „შემოდგომის აზნაურობაა“. აქედან ერთი ნაბიჯია იქამდე, ვინც ამტკიცებს, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაცია ანტიდისკრიმინაციული კანონისთვის მისცესო. ამ კანონის მიღება გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების იმდროინდელ პოლიტიკურ-ზნეობრივ მდგომარეობას, რომლის შეფასებას ხალხი და ისტორია კიდევ დაუბრუნდება. ფუჭია ამ კავშირის მამტკიცებელთა ცდა – ის უფრო თავისი ქცევის გამართლებაა. სინამდვილეში, მას არავითარი კავშირი არა აქვს ვიზალიბერალიზაციასთან.

ვიზალიბერალიზაცია მიიღო ქართველმა ხალხმა თავისუფლებისთვის მრავალათწლიანი ბრძოლისთვის.

საბჭოთა კავშირის (1921-1991 წწ) პერიოდში მის მოქალაქეებს ქვეყნიდან გასვლა შეეძლოთ მხოლოდ როგორც იშვიათი გამონაკლისი. საბჭოთა კავშირის დროს უკმაყოფილების დიდი მუხტი ქვეყნიდან გაუსვლელობის გამოც დაგროვდა. საქართველომ დამოუკიდებლობა კი მოიპოვა, მაგრამ ქართველების სამოძრაო სივრცე, რუსეთის სავიზო რეჟიმის გამო, მნიშვნელოვნად შემცირდა (საბჭოთა კავშირი მსოფლიო ტერიტორიის მეექვსედს შეადგენდა, ხოლო რუსეთის ფედერაცია მხოლოდ მერვედს შეადგენს).

საბჭოთა კავშირის სივრცეში მოძრაობას მიჩვეული ქართველებისათვის, რუსეთში ჩვეული კავშირების მოშლა, სხვა ნოსტალგიურ მომენტებთან ერთად, უფროსი, ე.წ. საბჭოთა თაობის თვალში აფერმკრთალებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტს.

ვიზალიბერალიზაციის დადებითი მნიშვნელობა საქართველოს უფროსი თაობის ადამიანების ქვეყნის გარეთ თავისუფალი გასვლის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ზემომითითებული „დანაკარგების“ ერთგვარი კომპენსაციაა. საქართველოს მოსახლეობაში იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც აქვთ საბჭოთა კავშირში შეგნებული ცხოვრების გამოცდილება (ვინც 1991 წელს იყო 16 წლისა და მეტი ხნის), ანუ, ვინც 40 წელზე მეტი ხნისაა, 2016 წლის 1 იანვრის მონაცემებით, შეადგენს 1 746 400 კაცს. რა თქმა უნდა, ბევრი მათგანისთვის ეს უფრო მორალური კომპესაციაა. ეს არის შესაძლებლობა, რომლის გამოყენებას, ალბათ, საპენსიო ასაკის მოქალაქეები, მათი დაბალი შემოსავლებისა და დაკარგული დანაზოგების გამო, ნაკლებად შეძლებენ. საქართველოში 65 წელზე მეტი ხნის 534500 ადამიანია (გიორგი წულაძე. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი.2016,გვ.23).

ვიზალიბერალიზაცია ის მკრთალი სინათლეა, რომელიც იმედს აჩენს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის 1918 წლის 26 მაისის, 1989 წლის 9 აპრილის, 1991 წლის 9 აპრილისა და 31 მარტის და სხვა ისტორიული მწვერვალების შუქი დამსახურებულ დონემდე მოიმატებს საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში. ვიზალიბერალიზაცია საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატარა კონვერტაციაა – საქართველოს მოქალაქედ ყოფნის მცირე უპირატესობაა.

ვიზალიბერალიზაცია მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიის საქართველოს მოქალაქეებისთვის. როგორ მოხერხდება ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა მიერ ვიზალიბერალიზაციის გამოყენება? სერიოზული ანალიზისა და შემდგომ მონიტორინგის საგანი უნდა გახდეს, თუ რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ პროცესს.

ვიზალიბერალიზაცია გამოხატულებაა იმისა, რომ 25 წლის განმავლობაში ქვეყნის განვითარების ვექტორის დასავლეთის მიმართულება იყო სწორი და ძირითადად თანმიმდევრული. ამ მიმართულების ყველა საფრთხე მოდიოდა გარეშე ძალებისა და საქართველოს მთავრობისგან და არასდროს – ქართველი ხალხისგან.

ვიზალიბერალიზაციამ ბუნებრივად შეგვახსენა 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება და ამ მოვლენის გამო ზურაბ ჟვანიას მიერ ევროსაბჭოს ასამბლეის სხდომაზე გაკეთებული განცხადება: „მე ვარ ქართველი

ქართველებისთვის ევროპელობა კულტურულ-ისტორიული ფენომენია. ეს მათი თვითგანვითარებისა და ბრძოლის შედეგი იყო ყოველთვის. ქრისტიანობითა და ბიზანტიასთან ურთიერთობებით ქართველები გახდნენ ევროპელები. შემდეგში ბრძოლით ინარჩუნებდნენ არა იმდენად ევროპულობას, რამდენადაც ევროპულობის იდეალებს. დიდი შესვენების შემდეგ უკიდურეს ჩრდილოეთში გაჭრილ ევროპული ფანჯრით კვებავდნენ მათ ევროპულობას. ევროპულობის შენარჩუნება მეცნიერებისა და კულტურის გზით მოხდა საბჭოთა კავშირის დროს.

და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“

იმ დროისთვის მთავარი ემოციური დატვირთვა ჰქონდა ევროსაბჭოში გაწევრების ფაქტსა და იმას, რომ აღნიშნული სიტყვები ამ მაღალ ტრიბუნაზე წარმოადგენდა ქართულ ენაზე პირველად წარმოთქმულ სიტყვებს.

მაშინ ამ სლოგანის შინაარსი არ ყოფილა აქტუალური განხილვის საგანი.

საქართველოს ე.წ. Z, ანუ ციფრული თაობისთვის, რომელთა ასაკი თითქმის ემთხვევა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდს, რომელიც სულ უფრო დიდ როლს იძენს ქვეყნის ცხოვრებაში, უმნიშვნელოა ქართველობისა და ევროპულობის საკითხის გარკვევა.

საქართველო გეოგრაფიულად შედის ევროპაში, აზიაში, თუ წარმოადგენს ტრანსკონტინენტალურ (ევრაზიულ) ქვეყანას – საკამათო საკითხია.

არავინ არ აკუთვნებს საქართველოს ე.წ.ახლო აღმოსავლეთის აზიურ ქვეყნებს.

ევროპის სივრცის თანამედროვე წარმოდგენები დაკავშირებულია არა იმდენად გეოგრაფიასთან, რამდენადაც პოლიტიკურ მოსაზრებებთან. ევროპის აღმოსავლეთის გაფართოების ფარგლებში მასში შევიდა მცირე აზიის ქვეყნები – თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და მათი მოსაზღვრე საქართველო.

არის ეს საფუძველი ქართველების ავტომატურად ევროპელობისთვის?

ჩემი აზრით – არა!

ერთადერთი უკამათო გეოგრაფიული იდენტიფიკაცია საქართველოსთვის ესაა მისი კავკასიურობა!!!

საქართველო არის კავკასიური ქვეყანა. ქართველები უტყუარად, დასაბუთების გარეშე და „მაშასადამე“ არიან კავკასიელები.

ქართველები არიან პირველი კავკასიელები, ვისაც ევროპამ თავისი სახლის კარი გაუღო.

კავკასიელები ავტომატურად არიან ევროპელები? აქ არის დამოკიდებულება წინაპრისა და შთამომავლისა. იმ ვერსიის მიხედვით, რომლითაც ევროპელი ტიპის ადამიანის ფორმირებაში კავკასიის მოსახლეობა მონაწილეობდა, კავკასიელები, მათ შორის, ქართველები ევროპელების წინაპრებია, მაგრამ უშუალოდ და „მაშასადამე“ ევროპელები არ არიან.

ქართველებისთვის ევროპელობა კულტურულ-ისტორიული ფენომენია. ეს მათი თვითგანვითარებისა და ბრძოლის შედეგი იყო ყოველთვის. ქრისტიანობითა და ბიზანტიასთან ურთიერთობებით ქართველები გახდნენ ევროპელები. შემდეგში ბრძოლით ინარჩუნებდნენ არა იმდენად ევროპულობას, რამდენადაც ევროპულობის იდეალებს. დიდი შესვენების შემდეგ უკიდურეს ჩრდილოეთში გაჭრილ ევროპული ფანჯრით კვებავდნენ მათ ევროპულობას. ევროპულობის შენარჩუნება მეცნიერებისა და კულტურის გზით მოხდა საბჭოთა კავშირის დროს.

და მაინც: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის ავტომატურად ევროპულობაზე საუბარი არ შეიძლება. „მაშასადამე“ ევროპელი ვერაა ვერც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა, ვერც აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, თურქეთის საქართველოს მოსახლეობა.

მაგრამ დღეს არის უნიკალური შანსი ქართველების ევროპიზაციისთვის. საქართველოს ყველა ისტორიული მიწა შესულია თანამედროვე ევროპის პოლიტიკურად განსაზღვრულ საზღვრებში. მართალია, ეს საზღვრები ჯერ ყველგან რეალური და ქმედითი არაა, მაგრამ იმის საფუძველია, რომ თურქი, რუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი ქართველობა გაერთიანდება მის ევროპულობაში.

მაგალითი ამ პროცესს საქართველოს სახელმწიფომ და მისმა მოსახლეობამ უნდა მისცეს. თავი და თავი ევროპული განათლება და კულტურა, ევროპულ ეკონომიკაში ინტეგრირება და მისი ინოვაციური განვითარებაა. ხელისუფლება უნდა იყოს ევროპული. ქვეყანაში უნდა გაიზარდოს ევროპული და სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტიციები. დაჩქარდეს ევროპასთან ასოცირების პროცესი. გაიზარდოს ევროპელი ვიზიტორების რიცხვი. ჯერჯერობით, საქართველოს ევროპიზაცია პრაქტიკულად ბევრ შემთხვევაში აზია -აფრიკანიზაციის სახეს ატარებს. საქართველოში იზრდება აზიური და აფრიკული ემიგრანტებისა და ვიზიტორების, თუ ინვესტორების რიცხვი, რომელთაგანაც უმრავლესობა თავის გადასარჩენად ან სპეკულაციური მიზნებით ჩამოდის საქართველოში. ხელისუფლება ყველა ნაბიჯზე ამჟღავნებს არაევროპულობას – არ არის გამჭვირვალე, არღვევს კანონებს, არ აბარებს ანგარიშს მოსახლეობას. ქვეყანაში დემოკრატიამ მიიღო მახინჯი სოლოკრატიული ფორმა. 25 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა არჩევნების შეუდავებლად ჩატარება...

ევროლიბერალიზაცია გაზრდის ქვეყანაში კიდევ ერთ „ზაციას“ – ევროზაციას, თუმცა მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი Z თაობის ახალგაზრდობას ნახოს ევროპა, მიიღოს ცოდნა და ევროპული პატრიოტიზმი, შრომის კულტურა გადმოიტანოს საქართველოში და დაიწყოს ახალი ძალით ევროპიზაცია, დაუბრუნოს სამშობლოს ევროპულობა, რითაც სამშობლოს დააბრუნებს ევროპაში.

მაშასადამე, არ არსებობს არც ერთი „მაშასადამე“, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს ქართველების ევროპელობასა და საქართველოს ევროპიზაციას, გარდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა, ქართველების ნიჭისა და ეროვნული ენერგიის გაერთიანების საფუძველზე.

მიხეილ ჯიბუტი

მალე თბილისში უნიკალური ჯანმრთელობის კერა – ამერიკული ჰოსპიტალი გვექნება

წელს, თბილისში ამერიკული ჰოსპიტალის მშენებლობა დაიწყება. საერთაშორისო სტანდარტების ამერიკული ჰოსპიტალის მშენებლობის პროექტი, რომელსაც ერთობლივად „თიბისი ჰოლდინგი“, „კონტი ჯგუფი“ და დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი განახორციელებენ, იმპლემენტაციის შემდეგ ფაზაზე გადადის. დასრულდა ჰოსპიტლის ოპერატორის არჩევის პროცესი და შეთანხმება გაფორმდა „ინოვა ჯანდაცვის სისტემასთან“.

„ინოვასა“ და ამერიკულ ჰოსპიტალს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გუშინ გაფორმდა.

„ინოვა ჯანდაცვის სისტემა“ ინტეგრირებული ჰოსპიტლების ქსელს წარმოადგენს, რომელშიც დასაქმებულია 16 000-ზე მეტი ადამიანი და ემსახურება აშშ-ის დედაქალაქის უდიდეს ნაწილს. „ინოვა“ აერთიანებს წამყვან კვლევით ინსტიტუტებს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ონკოლოგია, გულის დაავადებათა ინსტიტუტი, ნეირო-მეცნიერებათა ინსტიტუტი და ბავშვთა ჰოსპიტალი. მართავს რა 1700-ზე მეტ თანამედროვე საწოლს, „ინოვა“ ემსახურება წელიწადში 2 მილიონზე მეტ პაციენტს.

საქართველოში ამერიკული ჰოსპიტლის პროექტის საინვესტიციო ღირებულება 42 მილიონი დოლარი იქნება. პირველ ეტაპზე, ჰოსპიტალი 80 საწოლზე იქნება გათვლილი და აქცენტს გააკეთებს ისეთ სამედიცინო სერვისებზე, რომელთა განვითარების დონე საქართველოში დაბალია და კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მისაღებად საქართველოს მოქალაქეებს უცხოეთში უწევთ გამგზავრება.

ამერიკულ ჰოსპიტალში JCI (Joint Commission International)-ს უმაღლესი ამერიკული სტანდარტები და ტექნოლოგიები დაინერგება, რომელსაც საქართველოში ანალოგი არა აქვს. JCI გულისხმობს ყველა იმ ძირითადი პარამეტრის გათვალისწინებას, რასაც თანამედროვე ჰოსპიტალი უნდა აკმაყოფილებდეს, მათ შორის, ტექნიკური უზრუნველყოფა, სამშენებლო მასალები, აპარატურა, პერსონალის მომზადების ხარისხი, პროცედურების ჩატარების სქემა, ხარისხის კონტროლი და ა.შ. გარდა ამისა, ჰოსპიტალში სამუშაოდ მიიწვევენ ამერიკაში ლიცენზირებულ ქართველ ექიმებს, რომელთაც საშუალება მიეცემათ თავიანთი პროფესიული მოღვაწეობა საქართველოში გააგრძელონ.

ამერიკული ჰოსპიტლის ბაზაზე დაგეგმილია სამედიცინო ჰაბის შექმნა, სადაც ასევე ჩამოყალიბდება და განვითარდება სასწავლო-სამედიცინო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო დარგის პროფესიონალთა მომზადებას და ქსელის გაფართოებას. ჰოსპიტალი მოემსახურება არა მხოლოდ საქართველოს,არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონს.

რამაზ საყვარელიძე:

სრული ზნეობრივი ნიჰილიზმი

„დაიცავი სიტყვის თავისუფლება“, „თავისუფალი სიტყვა ჩვენი არჩევანია“, „რუსთავი-2“ ხალხის ტელევიზიაა“, „ივანიშვილო, შენთანაც მოვალთ!“ — ამ ლოზუნგებით და თავისუფალი სიტყვის „დაცვის“ მოტივით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და 8 პოლიტიკური პარტიისგან შემდგარმა საკოორდინაციო საბჭომ პერმანენტული ხასიათის აქციები დააანონსეს. როგორც „ნაციონალურ მოძრაობაში“ აცხადებენ, ხელისუფლებამ თავისუფალ სიტყვას ომი გამოუცხადა.

თუმცა, ასე სულაც არ ფიქრობს, ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე**. როგორც იგი აცხადებს, ყოფილ სახელისუფლებო გუნდს, რომელიც დამოუკიდებელ მედიას სპეცრაზმის საშუალებით გაუსწორდა და ქვეყანაში კრიტიკული მედია ჩაახშო, კრიტიკულად განწყობილი მედიის არსებობის აუცილებლობაზე საუბრის მორალური უფლება არა აქვს.

„იბერია“, „მზე“ „იმედი“, „მაესტორო“, „ობიექტივი“, „პრესა. ჯე“, გამომცემლობა „სამშობლოდან“ უკომპენსაციოდ გამოყრილი ათობით რედაქციის ასობით ჟურნალისტი — ეს იმ მედია-საშუალების ჩამონათვალია, რომელსაც „ნაცინალური მოძრაობა“ სპეცდანიშნულების რაზმით გაუსწორდა მხოლოდ იმიტომ, რომ კრიტიკულად განწყობილი მედია ნაციონალური ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო. „სიტყვის თავიუფლების“ დაცვის მოტივით აქციის გამართვის საშუალება აქვს ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას?

დღევანდელი ხელისუფლების ბრალია, რომ არ დაისაჯა ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა. ფორმულა, ყველას ხომ არ დავსჯით, ვიყოთ ჰუმანური, რაღაც კუთხით შეიძლება გასაგებია, მაგრამ შედეგად ვიღებთ იმას, რომ დანაშული და მორალზე გადაბიჯება თუ არ დაისჯება, მერე მუდმივად აბიჯებენ ამ ფორმულას.

სამწუხაროდ, ერთი მხრივ, მოქალაქეებს არა აქვთ პასუხისმგებლობა იმაზე, რას აკეთებენ, მეორე მხრივ, მოსახლეობის მეორე ნაწილი შეგუებულია იმას, რასაც არ უნდა აკეთებდეს ვიღაცა, მას არაფერი არ მოეთხოვება. ანუ, სრული ზნეობრივი ნიჰილიზმი მყარდება, რაშიც პასუხისმგებელი არის ხელისუფლება, რომელმაც არათუ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა, არამედ შეაჩერა იგი.

— ის, რომ შეაჩერა სამართლიანობის აღდგენა, არის ამაში ლოგიკა?

— თავის მხრივ არის ლოგიკა. მართლაც ყველას ხომ არ დაიჭერდი. ანალოგიურად, საბჭოთა პერიოდში ბევრი დამნაშავე, როგორც ქვედა, ასევე ზედა დონეზე, დაუსჯელი აღმოჩნდა. საბჭოთა წყობის რეპრესიებზე პასუხი არავინ აგო. ჰიტლერულ გერმანიაშიც ზედა ეშელონები დაისაჯა, დანარჩენი არა. მაგრამ იმავე ჰიტლერულ გერმანიაში ზედა ეშელონის დასჯა გერმანელმა ხალხმა საკუთარ შეცდომად აღიქვა, რადგან მათ მოიყვანეს ჰიტლერი ხელისუფლებაში და დღემდე ბოდიშს იხდის ამ ნაბიჯის გადადგმისთვის. ამ მხრივ გერმანია, როგორც ქვეყანა, დაისაჯა.

საქართველოს შემთხვევაში, რამდენიმე თვე ჰქონდათ შიშის განცდა ნაციონალებს, შიშის განცდა იმისა, რომ პასუხი არ მოეთხოვათ. როდესაც ნახეს, რომ მხოლოდ რამდენიმეზე გადატყდა პასუხისმგებლობის ჯოხი, მერე გახსნეს პოლიტიკური პროცესები და მაქსიმალურად უტევენ ყველა მიმართულებით, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ამის მორალური უფლება.



მორალზე პასუხიმგებლობის პირველი მაგალითი უნდა ეჩვენებინა ხელისუფლებას, მაგრამ უკან დაიხია. ამიტომ, მორალურობის საკითხი დღეს უკვე არ დგას, რამდენიც უნდა იძახონ პარლამენტში უმრავლესობის ტრიბუნიდან, რომ თქვენ ამის უფლება არ გაქვთო, მორალური უფლების ძახილით მორალს ვერ გააღვიძებ. უნდა მომხდარიყო დანაშაულზე პასუხისმგებლობა, ან მინიმუმ, გამოვლინება მაინც, არც ერთი და არც მეორე არ მომხდარა.

— სწორედ ეს არის შედეგი, რომ 8 პოლიტიკური პარტია, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები (როგორც წესი საქართველოში არასამთავროები „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტები არიან), ამ ხელისუფლებისგან „იცავენ“ სიტყვის თავისუფლებას...

— გეთანხმებით. ამასაც „ვარდების რევოლუციამ“ ჩაუყარა საფუძველი. ამ პარტიულ ცხოვრებას აყოლილი არასამთავრობო ორგანიზაციები წამყვანი ძალა იყო „ვარდების რევოლუციის“ დროს. თანამდებობები მიიღეს ვარდების მთავრობაში. მას მერე მოჰყვება არასამთავრობოებს პოლიტიკასთან თამაში. საქართველოში მოქმედი არასამთავრობოების 90% პოლიტიკურად მოტივირებულია. აი, ეს არასამთავრობოები დგანან ნაციონალებთან, იმ მოტივით, რომ მათი მხარდაჭერილი პარტია თუ გაიმარჯვებს, მათაც რაღაცა შეხვდება.

ამიტომ, ყველა არასამთავრობოს შეიძლება მივაწეროთ არაჯანსაღი მიკერძოება და არა საზოგადოების წარმომადგენლები. ასეთი ნაციონალისტური არასამთავრობოები დგანან ამ პროცესში, რაც ლოგიკურია, მაგრამ მორალურად გამართლებული არ არის. რატომ, იმიტომ, რომ ხელისუფლების პასიურობა სამართლიანობის აღდგენაზე, უსამართლობას აღვიძებს.

— რაც ასევე მნიშვნელოვანია, ამ პროცესში ნაციონალებმა გააცოცხლეს გია თორთლაძე, როგორც თავისუფალი სიტყვის ერთ-ერთი „დამცველი“...

— წევრობის თვალსაზრისით გაშიფვრა არ სჭირდება თორთლაძეს, რადგან ცხადია, რა პოლიტიკური ორიენტაციის ჯგუფებს გაახსენდათ დღეს „სიტყვის თავისუფლება“. ამ პროცესის ერთ-ერთ ინიციატორს ვკითხე, სად იყავით მაშინ, როდესაც თავისუფალ სიტყვას ხელისუფლება სპეცრაზით მოსდევდა-მეთქი, მითხრა, რომ მაშინ საქართველოში არ ვიყავიო. გასაგებია, მაგრამ ვუთხარი — ახლა როგორც სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლებმა შეაფასეთ ის 9 წელიწადი და მერე შეიძლება გენდოთ ადამიანი, რომ დღეს რეალურად გაწუხებთ სიტყვის თავისუფლება და არა პოლიტიკური მოტივი-მეთქი, ჯერჯერობით პასუხი არ მიმიღია.

— ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოტივი დგას, ვიდრე ზრუნვა სიტყვის თავისუფლებაზე?

— სწორედ პოლიტიკური მოტივი აწუხეთ, სწორედ იმიტომ, რომ ისინი დაუსჯელები იყვნენ. მე ხელისუფლება გავაკრიტიკე, მაგრამ ხელისუფლებაც არ არის მიზეზთა მიზეზი. მის პასიურობასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. ამ პასიურობის მიზეზი იყო დასავლეთი და ახსენა კიდეც ივანიშვილმა, რომ მოითხოვდნენ, ხელი არ გვეხლო ნაციონალებისთვისო. ასე რომ, დასავლეთის ჩართულობა მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ჩვენ დასავლეთზე დამოკიდებული ვართ.

— დასავლეთზე, რომელზეც მუშაობდნენ ნაციონალები სწორედ ამ მეთოდით და აქცენტს აკეთებდნენ იმაზე, რომ იჭერენ პოლიტიკური მოტივით. ეს იყო თვითგადარჩენის კამპანიის ნაწილი...

— ნამდვილად ასე იყო, აგერ სიტვის თავისუფლებას ახშობენ, იქით რუსეთზე აქვთ ორიენტაცია... ოღონდ რუსეთზე ორიენტაცია არ გამოუვიდათ, რადგან რადიკალური ნაბიჯები გადაიდგა დასავლეთის მიმართულებით. ნაციონალები მუშაობენ იმ პრინციპით — შენ დააბრალე, მოახერხებს თუ არა ჩამოწმენდას, ეს სხვა საკითხია. ამიტომ, ასეთი დაბრალების მეთოდმა შედეგი მისცა ნაციონალებს. დიდწილად სამართლებრივი კუთხით გადაარჩინა ნაციონალები. როცა ვამბობთ, რომ პოლიტიკურად მოტივირებულია, რეალურად ისინი ხელისუფლებისთვის კი არ იბრძვიან, იბრძვიან იმისთვის, რომ მათ თანაგუნდელებს გადაეფაროს დასავლეთის ქოლგა. ნაციონალების მოტივია, გადაურჩნენ სამართლებრივ პროცესს და სხვა არაფერი. რეიტინგიც არ არის საჭირო, აგერ არჩევნების შედეგებიც უჩვენებს, რომ ეს პარტია ძალიან დაშორებულია სახელისუფლებო ბარიერს.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

საზოგადოებისთვის გაუგებარია, რატომ იწვევს პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნების საკითხი ამდენ კითხვის ნიშანს და შეხლა-შემოხლას? ყველა ნორმალურ ქვეყანაში პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის ინსტიტუტები განლაგებულია დედაქალაქში და რაღა ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისი? მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე ქვეყნის მაოხრებელმა გზირმა (ეს სახელი ხალხმა შეარქვა სააკაშვილს) მიიღო საქართველოს სიძლიერის, მისი ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული მზაკვრული გადაწყვეტილება? მან ამ გადაწყვეტილებით მარტო თბილისი და თბილისელები კი არა, მთელი ქვეყანა დასაჯა(!).

ხელისუფლება დებატებშია ჩაფლული, ქვეყანა – სიღა-რიბეში

თავიდანვე ვიტყვი, სულაც არ მეხალისება მიშნაცების მიერ ნაკეთები ბინძური საქმეების კიდევ ერთხელ გამოქექვა, რამეთუ გამოცდილებით ვიცი, მაგათ რაც მეტად აუქნევენ ჯოხს, მით უფრო მეტად აყეფდებიან. ეს კარგად მოეხსენებათ მთელი 4 წლის მანძილზე კოჰაბიტაციური ჯოხის მქნეველ ოცნებელებს, რომლებმაც ევროატლანტიკური დემოკრატიის ხმაზე მყეფარი მატყუარა ნაცების გნიასი ვერა და ვერ ჩააცხრეს. ისინი კიდევ უფრო გააცოფა პარლამენტის მიერ ბოლო პერიოდში მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში გადაუდებელი ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

ერთი ასეთი ცვლილება, რაზეც სამშობლოსათვის თავშეწირულმა ნაცებმა ვაიუშველებელი ხმაური ატეხეს, ქვეყნის პრეზიდენტის არჩევის წესი გახლავთ. ლაპარაკია იმაზე, პრეზიდენტი პირდაპირი გზით ხალხმა უნდა აირჩიოს თუ პარლამენტმა. ისეთ ქვეყნებში, სადაც პრეზიდენტის ფუნქციები და უფლებამოსილებანი შეზღუდულია (ასეთთა შორის ვართ ჩვენც), ბევრგან პირდაპირ არჩევნებს გვერდს უვლიან და პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს. როცა ჩვენთანაც გაჩნდა ამის ალტერნატივა, სულგაყიდულმა ნაცებმა მაშინვე ხმლები იშიშვლეს – როგორ უბედავთ ნეტარპრეზიდენტ მარგველაშვილს არაპირდაპირი გზით არჩევას, თქვენს ხელში ისედაც არაფრის მქონე ფუნქციების წართმევას და უფლებრივ დასაჭურისებასო. ჩვენ ძლივს ქვეყანა დემოკრატიის გზაზე დავაყენეთ და თქვენ მას ისევ ავტოკრატიის ჭაობისკენ უბიძგებთო.

ამ ოღრაში ნაცებისგან ასეთ მტკნარ სისულელეს რომ მოისმენ, როგორ გინდა, გაჩუმდე და სიმართლე, მათ მიერვე ნაკეთებნაჩალიჩევი, პირში არ მიახალო? სააკოველები ახლა რომ პრეზიდენტის კონსტიტუციური უუფლებობის გამო ნიანგის ცრემლებს ღვრიან, აბა გავიხსენოთ, თავის დროზე საქართველოს პრეზიდენტს ეს უფლებები ვინ აახია?!

რა გახსენება უნდაო, იტყვის მკითხველი, მაგ ყველაფრის ავანჩავანი ხომ თავად სააკაშვილი გახლდათო. მართალი ბრძანდებით, პატივცემულო მკითხველო, შარახვეტია მიშა როცა თავად პრეზიდენტი იყო, ამ ჩვენს კონსტიტუციას, საბუდარელი თიხის ოსტატივით, ყურს საითაც უნდოდა იქით აბავდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სააკაშვილმა თავის მოჭარბებული ინტელექტი არ დაიშურა, ჰიპერსაპრეზიდენტო მოდელი შექმნა და ისეთ უზურპატორულ უფლებებს გამოკრა ხელი, თავის დროზე ოსმალეთის სულთანსაც კი შეშურდებოდა. მომდევნო წლებში კი, როცა საპრეზიდენტო ვადა ეწურებოდა, პრემიერობას დაადგა თვალი, კონსტიტუცია ერთხელ კიდევ გააუპატიურა, პრემიერის ფუნქციები უსაზღვროდ გააფართოვა, პრეზიდენტისა და „ნოტარიუსის“ დონემდე დაიყვანა.

ჰოდა, ახლა ავყია ნაცებს თავიანთი ბელადის მიერ გაუპატიურებული კონსტიტუცია თავადვე აღარ მოსწონთ და უფუნქციოდ დარჩენილი პრეზიდენტის საცოდაობას (კანონპროექტებზე „ვეტოს“ უფლებაღა შემორჩა, რასაც დიდი ხალისით ასრულებს) მთლიანად ბიძინა ივანიშვილის მარგველაშვილზე ჯავრის ამოყრის მცდელობით ხსნიან. მათ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ქვეყნის არაფორმალური მმართველი საკონსტიტუციო კომისიას თავის ჭკუაზე წაიყვანს, პრეზიდენტის არჩევის პრეროგატივას ხალხის ნაცვლად პარლამენტს უბოძებს და ნაცების კვნესა-კვნესით ნაშენებ დემოკრატიას საბოლოოდ წირვას გამოუყვანს.

ნაცებმა ოღონდ კი „ოცნება“ დაადანაშაულონ და სულაც არ აწუხებთ იმ რეალობის აღქმა, რომ სააკაშვილის თათარიახნად მოფიშფიშებული მოდელი კლასიკური საპარლამენტო ნიმუში არ არის და მორგებულია იმ პოლიტიკურ ბალანსზე, რომელიც დღეს საქართველოში რეალურად აღარ არსებობს. მიშას ნაცოდვილარი მოდელით პრეზიდენტი გინდ პირპადირი გზით აირჩიე და გინდ არაპირდაპირით, ის მაინც უფუნქციო სიცარიელედ დარჩება. თუმცა, ნაცებს კონსტიტუციაში სისტემური ხარჯების გამოსწორება რომ არ ანაღვლებთ, ამაში უჩვეულო არაფერია – უბრალოდ, უნიათო ხელისუფლებამ ამით საკუთარ თავს მორიგი პრობლემა შეუქმნა.

მარტო ეს რომ იყოს, რა უჭირდა, მთავრობა ვაი-ვაგლახით იქნებ როგორმე გაართმევდა თავს, მაგრამ ამ ნატოსთან დაკავშირებითაც რომ გაუთავებელი დისკუსიაა გაჩაღებული? თანაც ამ საქმეში მარტო ინტელექტუალებად და გირჩ-ქინძებად დაშლილ-გაფანტული ნაცების გარდა სხვა ნაცნობ-უცნობი პარტიებიც აქტიურად არიან ჩართულნი. ყველა ესენი გაერთიანებული ძალით უღრენენ ქოცებს: თქვენ თუ მართლა პატრიოტები ხართ და ცალი თვალი რუსეთისკენ არ გიჭირავთ, მაშინ კონსტიტუციაში ჩაწერეთ, რომ დასავლური ღირებულებების ერთგულნი და საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის თავგამოდებით იღვწითო.

კეთილი და პატიოსანი, ვთქვათ, ხელისუფლებამ გაითვალისწინა ამათი აზრი და კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ ქვეყანა ნატოსკენ შეუჩერებელი ნაბიჯით მიიჩქარის, მაგრამ როგორ გინდა, გაუძლო ამ კონცეფციის მოწინააღმდეგეთა ლოგიკას, რომელნიც აცხადებენ: გაგიჟდით ხალხო, თქვენ გინდათ გაწევრიანდეთ იმ ნატოში, რომელიც ახლახან დონალდ ტრამპმა ანაქრონიზმად გამოაცხადა? თავად ამერიკა აპირებს ნატოდან გასვლას და ჩვენ რატომ გვინდა იქ შესვლა? თუმცა, ქართველ ლიბერასტთა და ჰომოსექსუალების ინტერესების დამცელთა რიგებიდან გამოჩნდნენ ისეთებიც (კობა ხაბაზი, ბაია პატარაია და სხვები), რომლებიც ტრამპს უტრამპებენ და ემუქრებიან, რომ ბოლომდე იბრძოლებენ მოძმე ამერიკელი ხალხის ოლიგარქი მილიარდერისგან გასათავისუფლებლად!

მაგრამ ვიდრე ხაბაზი და პატარაია ამერიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტს წამოიწყებენ, საქართველოს ხელისუფლებამ კონსტიტუციაში ქვეყნის საგარეო კურსის განმსაზღვრელი ჩანაწერის გაკეთებამდე, ალბათ იმაზეც უნდა იფიქროს, აფხაზებსა და ოსებს უნდათ კი ჩვენთან ერთად ნატოში შესვლა? ხომ არ ჯობდა, ადა მარშანიას თქმისა არ იყოს, ის გვეკითხა: სად გინდა შესვლა – ნატოში თუ აფხაზეთში? და საერთოდ, ისიც საკითხავია, ნორმალურ ქვეყანაში ჩაითვლება კი ნორმალურად, რამდენჯერაც ხელისუფლება შეიცვლება, იმდენჯერვე მისი საგარეო კურსის თაობაზე კონსტიტუციაში სპეციალური ჩანაწერი გაკეთდეს?

პარლამენტში ასევე დიდი ჭიდილია გამართული საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის თაობაზეც. როგორც ყველა სხვა უკუღმართ ამბავში, ამაშიც სააკაშვილის მზაკვრული ხელია ჩარეული. ამბობენ, როცა მიშამ თავის დროზე დედაქალაქში „გრეჩიხასთან“ არჩევნებში წააგო, გაბრაზებულმა და შეურაცხყოფილმა უმადური თბილისელები იმით დასაჯა, რომ კონსტიტუციაში ჩანაწერი გააკეთა და პარლამენტის ადგილსამყოფელი ქუთაისზე დაამკვიდრა. კიდევ კარგი, ქუთაისზე შეაჩერა არჩევანი, თორემ მისი ხუშტურებიდან გამომდინარე, ხომ შეიძლებოდა პარლამენტი სულაც ცაგერში ან ხაშურში აღმოჩენილიყო? გადავრჩით, თუ ამას გადარჩენა ჰქვია. „ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კი აიჩემა პარლამენტის თბილისში დაბრუნება, მაგრამ იმის გამო, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავდა, იძულებული იყო, „მიშას კანონს“ დამორჩილებოდა. ეს მაშინ, მაგრამ დღეს როცა ასეთი უმრავლესობა მოიპოვეს, ხელს რაღა უშლით? ის, რომ თვით ოცნებელ დეპუტატთა შორისაც არ არსებობს აზრთა ერთიანობა. ზოგი მათგანი ახლაც მიიჩნევს, რომ სააკაშვილმა ქუთაისს საპარლამენტო ქალაქად გადაქცევით ისტორიულად საშვილიშვილო საქმე გაუკეთა და ქუთათურებს ეს მონაპოვარი აღარ უნდა წავართვათ.

მოდით, ჯანსაღი თვალით შევხედოთ რეალობას და დავსვათ კითხვა: რა მოიგო ქუთაისმა პარლამენტის ამ ქალაქში გადატანით? არც არაფერი, გარდა ერთი უზარმაზარი კუსებრი უსახური ნაგებობისა, რომლის მშენებლობასაც შეეწირა დიდების მემორიალი და დედა-შვილის სიცოცხლე და რომელშიც ჟანგბადი და მზის სხივებიც კი დეფიციტურია. სამაგიეროდ წააგო ქვეყნის ისედაც გამოცარიელებულმა ხაზინამ, რომელიც იძულებულია, ტყუილუბრალოდ ყაროს თანხები თბილისი-ქუთაისის გზაზე დეპუტატთა წაღმა-უკუღმა პროწიალში, ავტომანქანების საწვავში, ბინის ქირაში და სხვა უამრავ წვრილმანში. ამას ემატება სახელისუფლებო შტოებს შორის სიშორის გამო საქმიანი კონრაქტების გართულება, რაც ხელისუფლებაში მუშაობის ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საზოგადოებისთვის გაუგებარია, რატომ იწვევს პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნების საკითხი ამდენ კითხვის ნიშანს და შეხლა-შემოხლას? ყველა ნორმალურ ქვეყანაში პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის ინსტიტუტები განლაგებულია დედაქალაქში და რაღა ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისი? მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე ქვეყნის მაოხრებელმა გზირმა (ეს სახელი ხალხმა შეარქვა სააკაშვილს) მიიღო საქართველოს სიძლიერის, მისი ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული მზაკვრული გადაწყვეტილება? მან ამ გადაწყვეტილებით მარტო თბილისი და თბილისელები კი არა, მთელი ქვეყანა დასაჯა(!).

* * *

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ მოულოდნელად „რუსთავი-2“-ის ეთერიდან მოვარდნილმა ქარიშხალმა ერთიანად შემძრა. ავწიე თავი და რას ვხედავ, ეს ჩვენი თავისუფალი სიტყვის მეგავარსკვლავი, წვერულვაშაფაფრული პროვოკატორი ნიკა გვარამია ხულიგანივით შემოვარდა ეთერში და უშვერი სიტყვებით აგინებს არხზე ინტერვიუსთვის მიწვეულ ოცნებელ მამუკა მდინარაძეს: შე ივანიშვილის მიერ გაფუჭებულო მთავრობის ლაქიავ, როგორიც ადვოკატი იყავი უვარგისი, ისეთივე უვარგისი დარჩი პოლიტიკაშიცო. სიმართლე გითხრათ, ამ არხიდან ხელისუფლების ლანძღვა-თათხვას მიჩვეული ვარ (ეტყობა, მთავრობაც მიჩვეულია!) და გვარამიას თავხედობა სულაც არ გამკვირვებია. მე უფრო ის მიკვირს, რატომ ხდება, რომ ამ ორთაბრძოლაში, სადაც შემტევის როლში ყოველთვის რუსთავიორელები გვევლინებიან, ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლის მცდელობაში ყოველთვის ხელისუფლებას რატომ ადანაშაულებენ. ჰოდა, ამით წაქეზებული ეს „თავისუფალი სიტყვა“, ნიკა გვარამიას თავკაცობით, ხელისუფლებას ხან ბარიკადების აგებით ემუქრება და ხან კიდევ „ტახტიდან“ ჩამოგდებით(!).

ასეა, ევროპელი და ოკეანისგაღმელი პარტნიორების მხარდაჭერით ფრთებშესხმული მიშნაცები მართლაც რომ მარიფათიანად იგესლებიან, რასაც ვერ ვიტყვით იმავე ნაცების მიერ „უნიათო“ და „უქნარა“ ხელისუფლებად მონათლულ „ოცნებაზე“, რომელმაც მთელი ოთხი წელიწადი ნაცების მიერ შეთითხნილი ბრალდებებისგან თავის დაცვაში, მათთან უსაგნო კამათში გაატარა და როგორც ჩანს, იმავეს გაგრძელებას აპირებს მომდევნო ოთხლწეულშიც. ძნელია, სახელი დაარქვა ამათ მოქმედებას, ეს არის ხელისუფლება, რომელიც ცდილობს, არაფერი გააფუჭოს, მაგრამ არც არაფერი გააკეთოს. ერთადერთი, რაც ამ მთავრობას „მიღწევად“ შეიძლება ჩაეთვალოს, ჩინოვნიკების პრემია-დანამატებზე საბიუჯეტო სახსრების უპრაგონო ხარჯვაა.

კაცს შიშით ტელევიზორი ვერ ჩაგირთავს, თითქმის ყველა არხზე არის გაუთავებელი ლაყბობა ხელოვნურად შემოგდებულ პოლიტიკურ თემაბზე, მარად უჭკნობ სექსუალობაზე, უზნეობა-სიბილწეზე, ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციაზე, მანდატურის მიერ მოსწავლის გაუპატიურებაზე და რაზე აღარ. აი, სოფლის, გლეხკაცის პრობლემებზე, მცირე და საშუალო მეწარმეებზე კი, რომლებმაც უნდა შექმნან რეალური ეკონომიკა, სიტყვის დამძვრელი არავინ ჩანს. და ეს მაშინ, როცა ქვეყის ეკონომიკა სიღარიბის ჭაობშია ჩაფლული და მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს. ამ დროს, რა თქმა უნდა, კიტრის ფასი ედება მთავრობის იმით თავმოწონებას, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი წარმატებული რეფომატორია. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ხალხი მთავრობის საქმიანობის შედეგს აფასებს არა რეფორმებით, არამედ იმის მიხედვით, მაცივარში საკვების რა მარაგი ეგულება.



ოთარ ხუციშვილი

ხეივანი, რომელიც საუკუნენახევრისაა

ხეივანი, რომელზეც მინდა მოგითხროთ, ბუნების იშვიათი ნიმუშია, რომელიც თითქმის საუკუნენახევრის წინათ გაშენდა და დღემდე იპყრობს მნახველის ყურადღებას. იგი ქალაქ სენაკის სამხრეთით მდებარეობს. ეს გახლდათ ყოფილი თავად მხეიძეების (ხეციების) სასახლის ეზოს მშვენება. წარსულის მაცნედ დღემდე შემორჩენილია უზარმაზარი კვიპაროსი, ტენის მოყვარე ხე, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია ამაყად აზიდულა ცისკენ. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებმა სასახლე ჩამოართვეს თავადს და მის ბაზაზე შექმნეს სასოფლო- სამეურნეო ტექნიკუმი და 1924 წელს ააშენეს ახალი სასწავლო კორპუსი, ხეივანი იმდენად მიმზიდველი იყო, ხელუხლებელი დატოვეს, მოიჭრა მხოლოდ გამხმარი ხეები, ჩამატეს მოზარდები, მოეწყო ბილიკი, რომლის ორთავე მხარესაც ოლიანდრები გაახარეს, რკინის თაღებიანი ჭიშკარი ჩამოკიდეს (კარი დღესაც შენარჩუნებულა). როგორც გადმოცემით ირკვევა, ეს იყო თავის დროზე ძალიან მიმზიდველი დასასვენებელი ადგილი.

კოლხებისთვის ბაღებისა თუ ხეივნების შექმნა სისხლხორცეულია. ამის დასტურად ლეგენდად ქცეული მედეას ბაღის დასახელებაც კმარა. როგორი გემოვნებითა და სისადავითაა შექმნილი ზუგდიდში დადიანთა სასახლის ეზოში მოწყობილი პარკი, სასეირნო გზებითა და ნაირნაირი ყვავილებით. მნახველის ყურადღებას იპყრობს სალხინოში სალომე დადიანისა და აშილ მიურატის მიერ შექმნილი ხეივანი.

სწორედ ამიტომ ამბობენ, სულის მშვენიერება ისეთი რამეა, რომელსაც მრავალი მოყვარული ყავს, იგი არასოდეს ჭკნება და ყოველთვის ყავს თაყვანისმცემელიო. იგივე ითქმის სენაკის ხეივანზე. აქ შეხვდებით ცაცხვს, ფიჭვს, სოჭს, ტირიფს, ლუგუსტურუმს, წიწვოვნებიდან კედარს, ნაძვს, ტუიას, მარაოსა და ფინიკის პალმას, ოლეანდრას ბუჩქებს და სხვა იშვიათი ჯიშის ხე-ბუჩქებს. როცა ამ ჟამთა მხილველი ხეების ჩრდილქვეშ დააბიჯებ, რწმუნდები, რომ მშვენიერებას ზეცა და მიწა ქმნიან, ხეთა კორომში მიწამდე ძლივს აღწევს დაუდგრომელი მზის ნათელი სხივი. ეს ჩვეულებრივი ნათელი არ არის, ეს გახლავთ ათინათი, რომელიც ატყვევებს გრძნობასა და გულს. როცა შორიახლო შაშვები შეიჭახჭახებენ, ან ბუდიდან ახლად აფრენილი ბარტყები ჩაიფრთხიალებენ, უნებლიეთ გაგონდება გალაკტიონის უკვდავი სიტყვები.

„უსიყვარულოდ მზე არ
სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე
არ კრთება სასიხარულოდ.“

გასული საუკუნის სამოციან წლებში გადაწყდა ხეივნის ტერიტორიის გაზრდა. მოწესრიგდა საწრეტი არხები, ერთ ჰექტარზე დაირგო მარადმწვანე ხეები (მათ შორის, პალვონია), გატარდა ღონისძიებები მოსწავლეთა მონაწილეობით. როცა ამ უკვე ტანსრულ, ცადაზიდულ ხეებს შეჰყურებ, უნებლიეთ გებადება აზრი, რომ ყოფიერების გამართლება მშვენიერებაა, მშვენიერება კი სულის სიკეთეა. რომელიც ქმნის ესთეტიკას.

ბატონები გურამ გვასალია, თემურ ძაძამია, ოთარ შენგელაია, ქალბატონები ზაირა უჩანეიშვილი, ლია გოგია, მზისადარ ბჟალავა და სხვები იხსენებენ, რა სიყვარულით უვლიდნენ ხეივანს, რომელიც წლიდან წლამდე მშვენდებოდა, მოეწყო სკამები და გახდა შეყვარებულთა ნამდვილი „თავშესაფარი“, და არა მხოლოდ სენაკელთათვის. აქ ისმის ბავშვების მხიარული კისკისი და ჟრიამული. გულგრილი ვერ დარჩება ყველაზე გულჩათხრობილი ადამიანიც კი.

სამოქალაქო ომის წლებში და შემდგომ, როცა განუკითხაობა და ქაოსი სუფევდა ქვეყანაში, ბნელმა ძალებმა მოისურვეს ტანსრული ხეების მოჭრა, დახერხვა და ფიცრებად საზღვარგარეთ გატანა. ეგონათ, აუგ სურვილს შეისრულებდნენ. მოელაპარაკნენ ერთ თანამშრომელს, რომ ღამე მალულად მოხერხავდნენ, გაზიდავდნენ და თითო მოჭრილ ხეზე ას დოლარს გადაიხდიდნენ. ეს მაშინ დიდი ფული გამოდიოდა. გურამ გვასალია აღშფოთებით ყვება, თუ როგორ მოუხდათ ღამეების თევა ხეივნის გადასარჩენად. გონიერებამ და საღმა აზრმა იმარჯვა.

იყო წლები, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ხეივნის მოვლასა და პატრონობას, ამოიძირკვა ტალავრებში ნახარები ვაზი, მაგრამ როცა აქ ჩამოყალიბდა პროფესიული კოლეჯი (ხელმძღვანელი ქალბატონი მანანა ჭანტურია), მისი ინიციატივითა და თანამშრომელთა თანადგომით ახალი სიცოცხლე შეიძინა ამ ტერიტორიამ. დასუფთავდა გარემო. გაზაფხულზე სისტემატურად კირის ხსნარით მუშავდება და დროულად ისხვლება ხეები, მოეწყო ბილიკები. დაირგო ნაირფერი ყვავილები. წელიწადის თითქმის ყველა დროს აქ ისვენებენ მოხუცები, ასეირნებენ პატარებს, საიდუმლოდ ჩურჩულებენ განმარტოვებით დამსხდარი ახალგაზრდები...

ერთხელ შევესწარი, როგორი გრძნობით ესაუბრებოდა ქალბატონი მანანა ჭანტურია, ეზოს მომვლელს მურმან კუპრეიშვილსა და ინიციატივიან პედაგოგს მზისადარ ბჟალავას საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებაზე. მაღალ ხეთა ჩრდილქვეშ მდგარი სამი ადამიანი, თითქოს ნაწილი იყო ამ საოცარი სამყაროსი, რომელსაც ბუნების რეალობა ქმნიდა. მათი ღიმილიანი თვალები ესათუთებოდა ყოველ ძირს, ყოველ მტკაველ მიწას.

მართლაც, აქ უნებლიეთ ეჩურჩულები ღვთიურ ანგელოზს. ირგვლივ ფერთა მუსიკა იღვრება და ეს ჰარმონია გადმოდის ადამიანში. იმუხტები ულევი ენერგიით, გავიწყდება სევდა და ხალისდები, სიცოცხლის მაჯისცემა ძლიერდება. გინდება იბზრიალო, ან ხმამაღლა შესძახო – ჯადო ქმნილი ხარ, შენ დედა ბუნებავ!

აქ ყოველივე წარსულს გაგონებს და შეგახსენებს, რომ ისტორია არ კვდება, ის მეორდება. სწორედ ხელმეორე სიცოცხლე დაიბრუნა ხეივანმა, სამომავლოდ დაგეგმილია ლამპიონების მოწყობა და შემოგარენის განახლება.

სუფთა ჰაერი და ანკარა წყარო, მზის სხივები და ყვავილების არომატი, მსუბუქი სიო და დილის ნამი, ფრინველთა გალობა და მობიბინე ბალახი – ეს ის ძარღვია, რომელიც ადამიანს ბუნებასთან, გარე სამყაროსთან აკავშირებს. უამისოდ შეუძლებელია არსებობა. სამწუხაროდ, შეიცვალა ჩვენს გარშემო გარემო, სკვერების ნაცვლად ყველგან ავტოსადგომებია, შენდება მაღალსართულიანი შენობები. ბარბაროსულად ვექცევით ბუნების მშვენიერებას. უმოწყალოდ იჩეხება ხეები, ტოქსიკური გამონაბოლქვისაგან დაბინძურებულია ჰაერი, ცელოფნის პარკები და ბოთლებია მიმოფანტული საზოგადოების თავშეყრის ადგილებში...

მოდით, გავითავისოთ ბუნების მოვლა, მივბაძოთ სენაკის პროფესიული სასწავლებლის კოლექტივს, რომელიც ახლა შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს (რექტორი – ნათია ხუფენია, პროფესიული მიმართულების ხელმძღვანელი – მანანა სამუშია). აქ არა მხოლოდ პროფესიული სწავლებაა მაღალ დონეზე, არამედ ახალგაზრდების ესთეტიკური და სამართლებრივი აღზრდა. მისაბაძია უნივერსიტეტის რექტორის ნათია ხუფენიას ინიციატივა, წლეულს, ზაფხულში ხეივანში მოეწყოს რაიონის ახალგაზრდობისათვის მუსიკალური საღამო.

სწორედ ეს იქნება მკაფიო მოწოდება გარემო ბუნების დაცვისადმი, მაგალითი იმისა, გავუფრთხილდეთ ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და სიყვარულს, რაც გახლავთ წარმატებული სწავლის ერთ-ერთი გარდაუვალი პირობა.

ბორის დავითაია,
აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.
სენაკიდან

◎ მდგომარეობა გაუმჯობესდება თუ არა?

სოციალური სტატისტიკა საქართველოში

ამ დღეებში საქართველოს სტატისტიკის სამსახურმა საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა გამოაქვეყნა, რომელიც, 2015 წლის მდგომარეობით, 125 301 ოჯახი იყო. რამდენიმე სტატისტიკური მონაცემის საფუძველზე ვცადეთ გაგვერკვია, როგორ ახერხებს ამ ადამიანების უზრუნველყოფას სახელმწიფო და, ზოგადად, როგორია სოციალური მდგომარეობა საქართველოში.

სოციალური გამოკითხვებით, საქართველოში **ყველაზე მთავარ პრობლემად მოსახლეობა უმუშევრობას ასახელებს** – ეს მაშინ, როცა, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, უმუშევრობა 12 პროცენტს არ აღემატება. საქართველოში პრობლემაა ისიც, რომ არაფორმალური დასაქმების წილი საკმაოდ მაღალია და ამიტომ, ცხადია, ეს დასაქმებულები ვერ ხვდებიან ოფიციალურ სტატისტიკაში და არც გადასახადს იხდიან. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ 12-პროცენტიანი უმუშევრობის პირობებში სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სულ 498 395 ოჯახია და აქედან 125 301 ოჯახი საარსებო შემწეობას იღებს.

საქართველოში, ისევ და ისევ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, **სულ 3,7 მილიონი ადამიანია.** თუ ვივარაუდებთ, რომ ერთი ოჯახი საშუალოდ სამ-ოთხსულიანია, **სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანთა რაოდენობა 1,5-2 მილიონ ადამიანამდე აღწევს,** რაც ნიშნავს, რომ **მოსახლეობის თითქმის 50 % სიღარიბის ზღვარს მიღმაა.**

ამ ფონზე საინტერესოა კიდევ ერთი ციფრი: **ამ 3,7 მილიონ ადამიანზე საქართველოში სამუშაო ძალა, დაახლოებით, 2 მილიონი ადამიანია, ამ 2 მილიონიდან კი 1,1 მილიონზე მეტი ავტომანქანა მოდის,** რაც ნიშნავს, რომ **სამუშაო ძალის თითქმის ნახევარს ავტომანქანა ჰყავს.**

აქვე კიდევ ერთი ციფრი: **დასაქმებული ადამიანებიდან 1 მილიონ ადამიანამდე არის თვითდასაქმებული. მარტივად რომ ვთქვათ, იმ ადამიანთა უმეტესობა, რომლებიც, გადასახადს არ იხდიან, სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული.** როგორც იცით, ამ სექტორში მიწის მფლობელი ადამიანები სახელმწიფომ უკვე დასაქმებულებს მიათვალა.

შესაბამისად, თუ კარგად დავფიქრდებით, ეს ციფრები რეალურად პარადოქსულ სიტუაციას ქმნის. **რომ შევაჯამოთ, 12 %-იანი უმუშევრობის დროს მოსახლეობის 50% სიღარიბის ზღვარს მიღმაა, სამუშაო ძალიდან 300 000-მდე ადამიანი უმუშევარია, დასაქმებულად ჩათვლილი ადამიანების ნახევარზე მეტს მანქანა ჰყავს და გადასახადს კი ბიუჯეტში მაქსიმუმ 700 ათასამდე ადამიანი იხდის, საიდანაც 2/5-ზე მეტი საბიუჯეტო სექტორშია დასაქმებული, რაც ნიშნავს, რომ 3,7 მილიონი ადამიანის არსებობას საქართველოში 500 000-მდე ადამიანის მიერ გადახდილი გადასახადი და შექმნილი პროდუქტი უზრუნველყოფს.**

ამ გადასახადისა და ასეთი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში სახელმწიფო უმწეოთათვის შემდეგი მოცულობის შემწეობის გადახდას უზრუნველყოფს: სოციალური შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი 2012 წელს იყო და 163 183-ს შეადგინა. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სოციალური შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა ასე გამოიყურებოდა:

2008 წელი – 131 182; 2009 წელი – 153 434; 2010 წელი – 144 877; 2011 წელი – 13 2505; 2012 წელი – 163 183; 2013 წელი – 150 607; 2014 წელი – 141 776; 2015 წელი – 125 301;

საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისთვის 60 ლარია, ხოლო ორ და მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში ერთსულიანი ოჯახისთვის დადგენილი საარსებო შემწეობის ოდენობას მეორე და ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე ემატება 48 ლარი. სპეციალური ფორმულით გამოითვლება ზუსტი ოდენობა, რომელიც საკმარისი, ცხადია, არ არის. არსებობს თუ არა მოცემული სტატისტიკის პირობებში ამ მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივა ან, საერთოდ, არის თუ არა ეს სტატისტიკა ზუსტი და აჩვენებს თუ არა ქვეყნის რეალურად მდგომარეობას? ეს, ალბათ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა გახლავთ.

ნინო ევგენიძე

საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი ვერასოდეს გახდება, თუ თბილისის მოქმედება ნატო-რუსეთის ურთიერთობას გაამწვავებს

ამერიკულ გამოცემა „The Huffington Post"-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილულია საქართველოში გასულ წელს მომხდარი მოვლენები — ქვეყნის შიდაპოლიტიკური პროცესები და საგარეოპოლიტიკური კურსი. ყურადღება გამახვილებულია მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოში ამერიკელი სენატორების ვიზიტზე, მათ ყოფნაზე კონფლიქტის ზონაში, „ნაციონალური მოძრაობის" გაყოფაზე მიხეილ სააკაშვილისა და გიგი უგულავა-გიგა ბოკერიას მომხრეებად და სხვა მნიშვნელოვან ფაქტებზე.

„ქართული ოცნების" მთავრობის საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებს როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" („უკლონისტ" უგულავა-ბოკერიას ჯგუფთან ერთად), ასევე სხვა პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. მათი აზრით, ხელისუფლების მოქმედება დინამიკური არ არის. კრიტიკოსები შიშობენ, რომ „მეოცნებეთა" „უმოქმედობამ" საერთაშორისო არენაზე შეიძლება ქვეყანას კურსი შეაცვლევინოს და უფრო მეტად დამოკიდებული გახადოს ჩრდილოელ მეზობელზე — რუსეთზე. თუმცა, თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ ეს არგუმენტი მაინცდამაინც საფუძვლიანი არ გახლავთ.

რასაკვირველია, ვერავინ უარყოფს იმას, რომ „ქართული ოცნების" მთავრობამ რუსეთთან ურთიერთობას „გადახედა" (ადრინდელთან შედარებით უფრო ზომიერი პოლიტიკის გატარება დაიწყო), მაგრამ იმავდროულად საქართველო ინარჩუნებს კეთილ დამოკიდებულებას თავის სტრატეგიულ პარტნიორთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობისგან განსხვავებით, ე.წ. „პირადულ-პერსონალური პოლიტიკის" ფაქტორი აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობაზე გავლენას ვეღარ ახდენს. თავისი არსით, ეს ურთიერთობა უფრო მეტად სტრატეგიული გახდა: საქართველომ მკვეთრად გააააქტიურა თავისი მონაწილეობა ნატოს ავღანურ სამშვიდობო მისიაში, სადაც ქართველი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობით მე-4 ადგილი დაიკავა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები არიან (აშშ-ის, იტალიის და გერმანიის შემდეგ) და პირველი ადგილი იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ნატოს წევრებს არ წარმოადგენენ. გარდა ამისა, ერთობლივმა ქართულ-ამერიკულმა კონსორციუმმა შავი ზღვის ნაპირზე უდიდესი სატვირთო ნავსადგურის მშენებლობაც დაიწყო.

იმ დროს, როცა საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში აშშ-ის საიმედო და ერთგულ პარტნიორად რჩება, ხელისუფლება აცნობიერებს, რომ მისი საგარეო პოლიტიკა (მკვეთრ) ანტირუსულ პლატფორმას არ უნდა ეყრდნობოდეს. აშკარად ჩანს, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი ვერასოდეს ვერ გახდება, თუ თბილისის მოქმედება ნატოსა და რუსეთის ურთიერთობას გაამწვავებს. ამის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებამ შეარბილა თავისი დამოკიდებულება სეპარატისტული რეგიონების მმართველ რეჟიმებთან, განაახლა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები რუსეთთან, თუმცა დიპურთიერთობის აღდგენის გარეშე.

მოკლედ, ძალიან მნიშვნელოვანია დავინახოთ ის პოლიტიკური რეალობა, რომ საქართველო ძალზე დელიკატურად ცდილობს ბალანსის შენარჩუნებას (დასავლეთსა და რუსეთს შორის), ცდილობს გაწონასწორებული პოლიტიკა გაატაროს, რათა მისმა სწრაფვამ ნატოსა და ევროკავშირისაკენ რუსეთსა და დასავლეთს შორის მტრობა არ გამოიწვიოს, —აღნიშნულია პუბლიკაციაში.

„The Huffington Post" (აშშ)

რატომ წავიდა საქართველოს მთავრობა „გაზპრომთან" კომპრომისზე?

ფრანგულ რადიოსადგურ „რადიო ფრანსე ინტერნასიონალეს" („საფრანგეთის საერთაშორისო რადიო") მიერ ეთერში გადაცემული საქართველოს ამბების მიმოხილვის ერთ-ერთი თემა საქართველო-რუსეთის მზარდი სავაჭრო ურთიერთობა იყო.

საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე არ არსებობს. დიპურთიერთობის გაწყვეტა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით განხორციელდა, 2008 წლის „ხუთდღიანი ომის" შემდეგ. ამის მიუხედავად, ბოლო წლებში ორ მეზობელს შორის ვაჭრობის დონე განუხრელად მატულობს. 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს ვაჭრობა 12%-ით გაიზარდა და 881 მილიონი დოლარი შეადგინა. შესაბამისად, საქართველოს პროდუქციის ექსპორტში რუსეთს პირველი ადგილი აქვს დაკავებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული ღვინო ყველაზე მეტი რაოდენობით რუსულ ბაზარზე გადის — 25 მილიონი ბოთლი გასულ წელს. შედარებისთვის: უკრაინამ, რომელსაც საქართველოსთან ვაჭრობაში მეორე ადგილი უკავია, მხოლოდ 5 მილიონი ბოთლი სამარკო ღვინის იმპორტი მოახდინა. რუსეთი ასევე პირველ ადგილზეა საქართველოსთან ვაჭრობაში სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხრივაც, პლუს მინერალური წყალი.

ეს ციფრები საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუ მათ პოლიტიკურ კონტექსტში განვიხილავთ: მეღვინეობა და, საერთოდ, სოფლის მეურნეობა მთლიანად, ასევე მინერალური წყლების ჩამოსხმა ქართული ეკონომიკისთვის ჯერ კიდევ „სისტემწარმომქმნელ ხერხემლად" რჩება. ამ სტატისტიკის ყურადღებით გაანალიზებისას, ოპოზიციის მძაფრი პროტესტების მიუხედავად, ნათელი ხდება, თუ რატომ წავიდა კომპრომისზე საქართველოს მთავრობა „გაზპრომთან" მიმართებით, როცა სომხეთში რუსული გაზის ტრანზიტის საკითხში გაზის ნატურად აღების ნაცვლად, მის ფულად გამოხატულებას დასჯერდა. მძიმე ფინანსური კრიზისისა და ეროვნული ვალუტის დევალვაციის ფონზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ფრთხილად და ზრუნვით მიუდგა „რუსული ბაზრის პოტენციალის" შენარჩუნებას. უფრო მეტი სიფრთხილით, ვიდრე „ნაციონალების" ხელისუფლება თავის დროზე — მათ ხომ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, რადგან იმ დროს რუსეთის ემბარგო მოქმედებდა ქართულ პროდუქციაზე. დღეს კი რუსეთს თავისი უზარმაზარი ბაზარი გახსნილი აქვს. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამით მოსკოვი გიორგი კვირიკაშვილის მთავრობას თითქოსდა ანიშნებს — „არ გამაღიზიანო რაღაც-რაღაცებით, თორემ ამით ისევ შენს ეკონომიკას და ვალუტას დააზარალებო". გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს კატასტროფულად ნეგატიური სალდო აქვს საგარეო ვაჭრობაში.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ თუ მოსკოვი ისევ დახურავს თავის ბაზარს ქართული პროდუქციისთვის, თუ ისევ შეწყდება პირდაპირი ავიარეისები, ამით ტურიზმს ყველაზე მტკივნეული დარტყმა მიადგება. შესაბამისად, ქართული ლარი კიდევ უფრო ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდება. სწორედ ასეთი მწარე რეალობის თავიდან აცილების მიზნით მოხდა „გაზპრომთან" დათმობა. და არა ამარტო ამით: ამას წინათ ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა „რადიო ფრანსე ინტერნასიონალეს" კორესპონდენტს უთხრა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრს ლევან იზორიას განზრახული აქვს ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრას არ დაესწროს, რათა „რუსეთი არ გაბრაზოსო". თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ — საქართველოს პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ კურსი ნატოსა და ევროკავშირთან მიმართებით უცვლელი რჩება.

„RFI-Radio France Internationale" (საფრანგეთი)
მოგვაწოდა „ნიუსპრესმა"

ჟურნალისტმა ამერიკის პირველ ლედის მეძავი უწოდა

ნიუ იორკ თაიმსის რეპორტიორთან, რომელმაც ამერიკის პირველ ლედის მეძავი უწოდა, გაზეთის რედაქტორს მკაცრი საუბარი ჰქონდა. ამის შესახებ გამოცემა პოლიტიკო წერს. გავრცელებული ინფორმაციით, ნიუ იორკის მოდის კვირეულის ფარგლებში გამართულ წვეულებაზე ჟურნალისტმა მელანია ტრამპი უცენზურო სიტყვებით მოიხსენია. საუბარს სუპერმოდელი ემილი რატაკოვსკი შეესწრო, რომელმაც პირველი ლედის ლანძღვა გააპროტესტა. რეპორტიორის ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება, თუმცა როგორც პოლიტიკო წერს, მელანია ტრამპის გალანძღვის გამო მას სამსახურში პრობლემები უკვე შეექმნა.

მეის მთავრობამ ტრამპის ვიზიტის გაუქმებაზე უარი თქვა

ბრიტანეთის მთავრობამ აშშ პრეზიდენტის ვიზიტის გაუქმებაზე უარი თქვა. ამის შესახებ ტელეკომპანია CNN იტყობინება. პეტიციას დონალდ ტრამპის ვიზიტის გაუქმების მოთხოვნით ხელი 1,7 მილიონმა ადამიანმა მოაწერა, თუმცა მეის მთავრობამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

უკრაინა რუსულ ელექტროენერგიაზე უარს ამბობს

უკრაინა რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს აღარ აპირებს. ამის შესახებ ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა იგორ ნასალიკმა განაცხადა. მისივე თქმით, ენერგიის მწვავე დეფიციტის მიუხედავად, უკრაინა რუსულ ელექტროენერგიაზე უარს ამბობს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ალტერნატიული გზა გამონახოს.

ფიიონის პოპულარობა ეცემა

ფრანსუა ფიიონის რეიტინგი კატასტროფულად შემცირდა. სოციოლოგიური გამოკითხვა ამჯერად კვლევითმა ცენტრმა „ოდოქსმა" ჩაატარა. როგორც გამოკითხვის შედეგებით ირკვევა, რესპუბლიკელთა კანდიდატს დღეისათვის მხარს რესპონდენტთა 22 პროცენტი უჭერს, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 10 პროცენტით ნაკლებია. ფიიონის რეიტინგი მას შემდეგ დაეცა, რაც გაირკვა, რომ მას მეუღლე მრჩევლად ჰყავდა გაფორმებული და სოლიდურ გასამრჯელოს უხდიდა, ხოლო რჩევებს იურიდიულ საკითხებში საკუთარი შვილებისგან იღებდა, რომლებიც პროფესიით იურისტები არ არიან.

რუსეთში მეოთხე გუბერნატორი გადადგა

პუტინმა გუბერნატორებისთვის მოიცალა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში თანამდებობა ოთხმა სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დატოვა. ამჯერად გადადგომის შესახებ განცხადება რიაზანის ოლქის გუბერნატორმა დაწერა. გუშინ კი თანამდებობიდან ნოვგოროდის გუბერნატორი დაითხოვეს.

გუტერიში: გაეროს უშიშროების საბჭო რეფორმებს საჭიროებს

უშიშროების საბჭოს რეფორმირება აუცილებელია. ამის

შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერიშმა განაცხადა. „უშიშროების საბჭოს მიმართ ნდობა დაკარგულია. საბჭოს საქმიანობა არ პასუხობს დღევანდელი მსოფლიოს მოთხოვნებს, რომელიც გასული საუკუნის მსოფლიოსგან განსხვავებულია. საბჭო მსოფლიოს წინაშე არსებულ პრობლემებზე ადეკვატურად ვერ რეაგირებს", — აღნიშნა გუტერიშმა.

აპოკალიფსი მეცნიერულად,

ანუ რამდენი ნაბიჯი დაგვრჩა საყოველთაო კატასტროფამდე

შვეიცარიის მაღალმთიან დაბა დავოსის ტრადიციული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისთვის მრავალი ქვეყნის პირველ პირებთან და წამყვან ეკონომისტებთან, ასევე ცნობილ ბიზნესმენებთან ერთად სხვადასხვა სფეროს რამდენიმე ასეული ავტორიტეტული ექსპერტიც საგანგებოდ ემზადებოდა. მათი მიზანი ფორუმზე ათწლეულის გამოწვევების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა იყო, რის შედეგად მთავარ რისკად... თავად ადამიანი აღიარეს.

მეცნიერთა პროგნოზით, ცივილიზაცია ტექნოლოგიური ნახტომის ზღურბლზეა, რომელსაც საყოველთაო კატასტროფის გამოწვევა შეუძლია. ამჟამად პროგრესი იმდენად სწრაფი გახდა, რომ ჩვენ, უბრალოდ, სიახლეების ათვისებას ვერ ვასწრებთ. 2020-დან 2040 წლების პერიოდში კი ისეთი ტექნოლოგიები იქნება შექმნილი, რომლებზე კონტროლი კაცობრიობას სულაც შეიძლება ხელიდან დაუსხლტეს.

ექსპერტებმა „ქვეყნიერების დასასრულის“ რამდენიმე სავსებით რეალური სცენარი გაასაჯაროეს.

თუმცა, იგივე ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ თუკი კაცობრიობა თავიდან აიცილებს „ქვეყნიერების ტექნოგენურ დასასრულს“, მაშინ 21-ე საუკუნის შუა ხანებისთვის იგი ევოლუციის ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავა. პროგრესი და ტექნოლოგიები ადამიანებს მეტ თავისუფლებას, მეტ იაფ საქონელსა და მომსახურებას მისცემენ. თავად ადამიანიც სხვანაირი გახდება, მაგრამ მაინც როგორი?

რობოტების აგრესია. 21-ე საუკუნის ერთ-ერთ მთავარ რისკად დავოსის ფორუმის მოხსენებაში რობოტოტექნიკის განვითარებაა დასახელებული, რომელიც ეკონომისტებში ენით აუწერელ პანიკას იწვევს – მის გამო ადამიანები მასობრივად დაიწყებენ სამუშაოს დაკარგვას. **არსებობს პროგნოზი, რომლის თანახმადაც თითქმის ყოველ მეორე სპეციალობას ავტომატიზაცია ემუქრება (!)**. ცოტა ხნის წინათ ერთმა დიდმა ბანკმა განაცხადა, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემების დანერგვის შედეგად სამი ათასზე მეტი სამუშაო ადგილის გამოთავისუფლებას შეძლებს (!!). ტექნოლოგიას, რომელიც კაცობრიობას თითქმის საყოველთაო უმუშევრობით ემუქრება, **სამანქანო სწავლება** ეწოდება. დაგროვილ მონაცემთა გაანალიზების შედეგად, ხელოვნური ინტელექტის სისტემებს თვითსწავლა და ადამიანის გონების მიბაძვა შეუძლია. გარდა ამისა, რობოტები ადამიანებზე გამძლენიც არიან, მათზე უფრო სწრაფად და ზუსტად მოქმედებენ, არ უშვებენ წუნს. ისინი არა მარტო კონვეიერთან სამუშაოდ დასადგომად, არამედ „მასწავლებლებისთვის“ სამუშაოს წასართმევადაც არიან მზად, რის შედეგად ქუჩაში გამოყრილი მილიონობით დასაქმებული აღმოჩნდება. თუმცა კი არც ესაა ყველაზე დიდი საშინელება...

– იმის გამო, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემებს თვითსწავლა უსაზღვროდ შეუძლიათ, ხოლო მათ სიმძლავრეს ზვავისებურად გაზრდის უნარი აქვს, ისინი სამყაროზე ზემოქმედების გამწევი საკუთარი მექანიზმების შექმნასაც შეძლებენ, – აცხადებენ გლობალური რისკების შემსწავლელი ფუტუროლოგები.

მათთვის არანაირი სირთულე არ იქნება ნებისმიერ კომპიუტერულ ქსელებზე, მათ შორის სახელმწიფო მართვის სისტემებსა და ინტერნეტზე კონტროლის დაწესება. **გამორიცხული არ არის, რომ სწრაფი განვითარების პროცესში მათ კაცობრიობის როგორც მუქარის აღქმა დაიწყონ – ადამიანი, უბრალოდ, არ აღმოჩნდება მათ ფასეულობათა სისტემაში.**

სავალალო შედეგი ყოველივე ამისა კი ის იქნება, რომ ისინი მის თავიდან მოცილებას ეცდებიან, ვთქვათ... მართვადი რობოტების მეშვეობით.

ამიტომაც, ექსპერტები აცხადებენ, რომ მეცნიერთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ადამიანებისადმი არამეგობრულად განწყობილი ხელოვნური ზეინტელექტის თვით გაჩენის ალბათობის მოსპობა.



სათბურის კატასტროფა. კლიმატზე დაკვირვების მთელი ისტორიის მანძილზე, 2016 წელი ყველაზე ცხელი იყო: დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა თითქმის ერთი გრადუსით აღემატებოდა გასული საუკუნის შუა ხანების საშუალო ტემპერატურას!

მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ გლობალური დათბობის მიზეზი (მე-20 საუკუნის მანძილზე ატმოსფეროს ქვედა ფენების ტემპერატურამ ცელსიუსის 0,8 გრადუსით მოიმატა, რაც ბუნებრივი პროცესებისთვის ძალიან დიდი სისწრაფეა), ადამიანის მოღვაწეობაა. ტექნიკური პროგრესი დიდი ოდენობით საწვავის მოხმარებას უკავშირდება, რასაც ატმოსფეროში სათბურის გაზების შემცველობას ზრდის (მათ შორისაა წყლის ოთრქლი, ნახშირჟანგი და მეთანი) და სწორედ ისინი იწვევენ ტემპერატურის მატებას. იმის მიუხედავად, რომ ამჟამად საფრთხე მაინცდამაინც დიდი არ ჩანს, დათბობის ტემპები წლიდან წლამდე მატულობს, კლიმატური ანომალიები კი მოსახლეობის მიგრაციასა და სოციალურ მღელვარებას პროვოცირებენ – დედამიწის ზოგიერთ რეგიონში ადამიანები თანდათან საკვებისა და წყლის გარეშე რჩებიან.

ამდენად, ექსპერტები აცხადებენ, რომ მომავალ თაობათა ბედზე დაფიქრება ამთავითვეა საჭირო, **წინაალმდეგ შემთხვევაში, კლიმატურ ცვლილებათა გამო, მრავალი ბიოლოგიური სახეობა (მათ შორის, ადამიანიც!) 200-300 წლის შემდეგ შესაძლოა, საერთოდ გაქრეს (!!)**.

მაგალითისთვის შეიძლება მომავლის მოდელირების ვერსიის მოყვანა: თუკი უახლოეს ორ-სამ საუკუნეში სათბურის გაზების ატმოსფეროში გაფრქვევის დონე შენარჩუნდება, დედამიწაზე ტემპერატურა ასობით გრადუსით გაიზრდება.

დათბობას კი ზვავის ეფექტი მოჰყვება: ნახშირჟანგი და მეთანი ბუნებრივი „საცავებიდან“ (ოკეანებიდან, დედამიწის ქერქიდან, მუდმივი გამყინვარების ზონიდან და ა.შ.) გამოთავისუფლებას დაიწყებენ, რაც, თავის მხრივ, დათბობის პროცესს გააძლიერებს, რის შედეგად პროცესი შეუქცევადი გახდება. **გამოთვლები აჩვენებს, რომ ორიოდე საუკუნეში დედამიწის კლიმატურ სისტემას სხვა მდგრად მდგომარეობაში გადასვლა შეუძლია.** ამის შედეგად ტემპერატურა „ვენერიანული“ გახდება – ცელსიუსის 500 გრადუსს მიაღწევს და დედამიწაზე სიცოცხლე გაქრება.

რუხი ლორწო. ეს სცენარი ნანოტექნოლოგიების გზამკვლევმა ერიკ დრექსლერმა ჯერ კიდევ 30 წლის წინათ აღწერა. მინიატიურული (ზომით უჯრედისხელა), ნანომასალებისგან შექმნილი რობოტები ადამიანის კონტროლს აღარ ემორჩილებიან, ავსებენ მთელ პლანეტას, შთანთქავენ მთელ ბიომასას და რუხ ლორწოდ აქცევენ მას.

ლაპარაკია თვითწარმოების უნარის მქონე რობოტებზე, ანუ ისეთებზე, რომლებსაც საკუთარი თავის ანალოგის წარმოება შეუძლიათ. მათ რეპლიკატორები ეწოდებათ. მათთვის ყველაზე მეტად მიმზიდველია ბიომასა, ვინაიდან ის ნახშირბადსაც შეიცავს და ენერგიასაც, რომლის მიღება ჟანგვის ხარჯზე შეიძლება.

გამოკვლევებით დგინდება, რომ დედამიწის მთელი ბიომასის დამუშავება (მათ შორის ადამიანებისაც!) არამართვად ნანორობოტებს სულ რაღაც ორ დღე-ღამეში შეუძლიათ (!!). კონტროლიდან გამოსულ თვალით უხილავ მექანიზმებს ფარულად ადამიანებზე იერიშის მიტანის უნარი აქვთ მათთვის ტოქსინების შესხურებით ან ტვინში შეღწევით.

დღესდღეობით ნანორობოტების დამუშავების საკითხებს პროფილურ სამეცნიერო კონფერენციებზე სწავლობენ და ადრე თუ გვიან ისინი შეიქმნება. ტენდენცია სავსებით ცხადია: სამხედრო ტექნიკა (იგივე საბრძოლო უპილოტო მფრინავი აპარატები) ზომებში სულ უფრო მეტად მცირდება, არადა სწორედ ამ დარგში წარმოიშობა ყველაზე პერსპექტიული სამეცნიერო იდეები.

სულ ცინცხალი ამბავი მოვიდა ბრისტოლიდან (დიდი ბრიტანეთი): იქაურმა **მეცნიერებმა შექმნეს რობოტი, რომელსაც ცოცხალი ორგანიზმების შთანთქმა და, ამის ხარჯზე, მისთვის საჭირო ენერგიის მიღება შეუძლია (!!)**. მის გამოყენებას წყალსაცავების გასაწმენდად აპირებენ. მაგრამ, აბა, დავფიქრდეთ, რა შეიძლება მოხდეს, ეს რობოტი ბაქტერიებსა და წყლის პერს რომ არ დასჯერდეს?

ვირუსი... ავტოფარეხიდან. თუკი კაცმა ბიოლოგია რაღაც დონეზეც იცის და გარკვეული თანხაც „თავის ხოშზე“ შეუძლია დახარჯოს, მას თავისუფლად შეუძლია საკუთარ ავტოფარეხში მინი-ლაბორატორიის მოწყობა, მათ შორის ვირუსების საწარმოებლად. ბიოჰაკერობა – დამოუკიდებელ მოყვარულ მეცნიერთა ჰობი, შესაძლოა, მთელი კაცობრიობისთვის დაუძლეველ საფრთხედ გადაიქცეს.

მოძრაობის სათავეებთან ამერიკელი ფიზიკოსი ასპირანტი რობ კარლსონი იდგა, რომელიც ოცნებობდა, რომ ბიოტექნოლოგიები ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, ამიტომაც პირველი ლაბორატორია საკუთარ სახლში შექმნა. მისი მაგალითი გადამდები აღმოჩნდა. ამჟამად ბიოჰაკერები ქმნიან მანათობელ იოგურტებს, ეძებენ პერსპექტიული ბიოსაწვავის ფორმულას და სწავლობენ საკუთარ გენომებს. მთელ საჭირო მოწყობილობას (მათ შორის სინთეტიკური დნკ-ს ნიმუშებს), ისინი ინტერნეტის მეშვეობით ყიდულობენ, მიკროსკოპებს კი იაფფასიანი ვებკამერებიდან აკეთებენ.

პრობლემა ის არის, რომ მსოფლიო ქსელში თავისუფალ წვდომაში მრავალი ვირუსის კოდია – ესენია ებოლას ციება, „ესპანურა“ გრიპი, ყვავილი... ამდენად, სურვილის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ცოცხალი უჯრედების შექმნა როგორც გნებავთ წინასწარ განსაზღვრული თვისებებით – ესენი იქნებიან ვირუსები, ბაქტერიები, მომაკვდინებელი პათოგენები თუ სხვა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთია ამ საქმეს „თავის შესაქცევად“ და ცნობისმოყვარეობის გამო მიყოლა და სულ სხვაა დაშინებისა და შანტაჟის მიზნით. თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ ფუტუროლოგები გამორიცხავენ „ქვეყნიერების დასასრულის“ ისეთ სცენარს, სადაც კაცობრიობას ბოლოს მოუღებს რომელიმე მოყვარული ბიოლოგის კუსტარულ ლაბორატორიაში გამოყვანილი ჭირი.

აღსანიშნავია, რომ პრობლემის საფრთხე ჯერ კიდევ 10 წლის წინათ გაითვალისწინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რის შედეგად გამოძიებათა ფედერალურ ბიუროში ბიოჰაკინგთან მებრძოლი ქვედანაყოფი შექმნეს. შედეგად ბიოჰაკერებს განმარტებების მიცემა უწევთ, თუ რას აკეთებენ კონკრეტულად და რა მიზნით.

ეძიმი ჯიბეში. უკვე შექმნილია გონიერი სალბუნები, რომლებიც განუწყვეტლივ ზომავენ სისხლში გლუკოზის შემცველობას და დასაწებლები, რომლებსაც პაციენტისთვის კანიდან საჭირო წამლები შეჰყავთ. არსებობის იმპლატანტები, რომლებსაც ორგანიზმში პრეპარატი ან წინასწარ შედგენილი პროგრამის, ან გარედან მიღებული ნიშნის მიხედვით შეჰყავთ.

იმ ტექნოლოგიებს შორის, რომლებიც უახლოეს წლებში ჩვენს ცხოვრებაზე განსაკუთრებით დიდ ზეგავლენას იქონიებენ, მეცნიერები ფსიქიკურ დაავადებათა მეტყველებით დიაგნოსტირების მეთოდებსა და ჩიპებზე გადასატან ბიოქიმიურ ლაბორატორიებს ასახელებენ, რომელთა მეშვეობით დაავადებათა გამოვლენა ადრეულ სტადიებზე იქნება შესაძლებელი.

მუშავდება ნანორობოტები, რომლებსაც ორგანიზმის მკურნალობა (ვთქვათ, სისხლის გაწმენდა) შიგნიდან შეეძლებათ და, ასე განსაჯეთ, ქირურგიული ოპერაციების გაკეთების უნარიც ექნებათ! ლაპარაკი იმაზეც კია, რომ ზემგრძნობიარე ბაქტერიების მეშვეობით შესაძლებელი იქნება, დაკარგული თვალისჩინის დაბრუნებაც კი!!

კიბორგი თუ ზეადამიანი? ვიდრე მეცნიერთა ერთი ნაწილი რობოტების შემოსევით გვაფრთხობს, სხვები ამტკიცებენ, რომ სწორედ მანქანური ინტელექტი გადაარჩენს ეკონომიკას. ავტომატიზაციის წყალობით ბევრი საქონელი უფრო იაფი ხდება, ამაღლებს სამომხმარებლო მოთხოვნასა და ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის სხვა დარგებში. თანაც, რობოტების წილად დამქანცველი რუტინული სამუშაო მოდის, შემოქმედებით სფეროში ადამიანის შეცვლა მათ არ შეუძლიათ.

თუმცა კი ბოლო დროს თავად ადამიანი სულ უფრო მეტად ერწყმის კომპიუტერულ სისტემებს. **უკვე არსებობს სერვისები, რომლებიც წინასწარ განჭვრეტენ ჩვენს სურვილებს, მომავალში კი ყველას საკუთარი პერსონალური ელექტრონული დამხმარე ეყოლება. გაძლიერდება შემეცნებითი უნარები და გაჩნდება გრძნობათა დამატებითი ორგანოებიც კი!** მაგალითად, შესაძლებელი გახდება იმის დანახვა, თუ რისგან შედგება საჭმელი თეფშზე ან შეფუთული წამალი. იაპონელებმა ადამიანს ინფრაწითელი და ულტრაიისფერი გამოსხივების დაკვირვების აპარატი ჩაუდგეს, არსებობს პროგრამა, რომელიც აზრებს მუსიკად აქცევს. მაგალითად, ამერიკაში შექმნეს გადასაყვანი სვირინგები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სმარტფონისა და კომპიუტერის მართვა, მონაცემთა გადაცემა. არსებობს პროგნოზი, რომლის თანახმად 2040 წლისთვის ადამიანი და მანქანა ერთიან მთლიანობად იქცევიან. ჩვენი სხეული ნებისმიერი ფორმის მიღებას შეძლებს, რომელსაც ნანორობოტების ღრუბელი შექმნის, ორგანოები კი კიბერნეტიკული მოწყობილობებით შეიცვლება.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ დაბრუნება

„დინამო“ კაჭარავას ჩააბარეს



„დინამო თბილისის“ პრეზიდენტის – რომან ფიფიას გადაწყვეტილებით ქვეყნის მთავარ გუნდს ამიერიდან კახა კაჭარავა უხელმძღვანელებს. ის დინამოელებს გუშინ დილით შეუერთდა თურქეთში, სადაც ჩვენი გუნდი მეორე წინასასეზონო შეკრებას გადის. რომან ფიფია ასევე შეხვდა „დინამო თბილისის“ ფან-კლუბის წარმომადგენლებს, რომლებსაც გააცნო გუნდში შექმნილი სიტუაცია, აუხსნა ვიაჩესლავ გროზნის წასვლის მიზეზები და ასევე აცნობა მისი გადაწყვეტილება ახალ მწვრთნელთან დაკავშირებით. ფან-კლუბის წევრები მიესალმნენ პრეზიდენტის არჩევანს.

შეგახსენებთ, რომ კახა კაჭარავას დინამოელთა მწვრთნელობის გამოცდილება უკვე აქვს. ის 2006, 2009-2011 წლებში ხელმძღვანელობდა დედაქალაქურ გუნდს, ასევე აქტიური საფეხბურთო კარიერის პერიოდში „დინამოს“ ლურჯ-თეთრი მაისური 97-ჯერ მოირგო და 54 გოლი გაიტანა მეტოქეთა კარში.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

ბექა გიგაშვილის დიდი ნახტომი - ფედერალ 1-დან ტოპ 14-ში

ქართველმა ბურჯმა ბექა გიგაშვილმა, რომელიც რაგბს სულ რაღაც 5 წელია თამაშობს, ტოპ 14-ის „გრენობლთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მორაგბემ, რომელსაც ხვალ 25 წელი უსრულდება, რაგბის თამაში საკმაოდ გვიან, 20 წლის ასაკში დაიწყო. მან იმჟამად საქართველოს პირველი ლიგის გუნდში, ქუთაისის „ბაგრატში“ 6 თვე გაატარა და რუსეთში, მოსკოვის „სპარტაკში“ წავიდა, სადაც ერთი სრული სეზონი ჩაატარა და 17 მატჩში ერთი ლელო გაიტანა. სეზონში გუნდის ლიდერად იქცა.

2015-2016 წლების სეზონში ბექამ „შამბერის“ მაისურით 25 თამაში ჩაატარა, აქედან 18 შემთხვევაში სასტარტო შემადგენლობაში იყო და 2 ლელო დაამიწა. მიმდინარე სეზონში მან 12 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ყოველ ჯერზე სასტარტო შემადგენლობაში იყო და ამჯერადაც ორი ლელო მიითვალა. „შამბერიში“ მისი თანაგუნდელები ბექა ბიწაძე და ვაჟა კაპანაძე არიან.

2014-2015 წლებში გიგაშვილი საქართველოში იყო – უმაღლესი ლიგის „ბათუმის“ შემადგენლობაში ითამაშა, თუმცა, მალევე გეზი კვლავ უცხოეთისკენ აიღო და ამჯერად დასავლეთში, საფრანგეთში გაემგზავრა. მან ფედერალ 1-ის „შამბერისთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და პირველივე წარმატებული თამაში ფრანგულ ელიტურ კლუბებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ და ახლახან მან 2-წლიანი კონტრაქტი ტოპ 14-ის „გრენობლთან“ გააფორმა. ქართველი ბურჯი ახალ გუნდს ზაფხულში შეუერთდება და იქ 2019 წლამდე დარჩება.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ევროლიგაში პრინტეზისი გამოარჩიეს

ევროლიგის 22-ე ტურის საუკეთესო მოთამაშედ „ოლიმპიაკოსის“ ბერძენი კალათბურთელი გეორგიოს პრინტეზისი დაასახელეს. აღნიშნულ ინფორმაციას ლიგის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

„ოლიმპიაკოსმა“ „ჟალგირისი“ 73:64 დაამარცხა. პრინტეზისმა გუნდს 17 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა შესძინა, ხოლო გეორგიოსის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 30-ს უწია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ნდობა

მოჭიდავეებმა ახალი მწვრთნელები დაასახელეს

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმმა თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მთავარი მწვრთნელები დაამტკიცა.

თავისუფალ ჭიდაობაში ეროვნულ ნაკრებს გიორგი იანტბელიძე უხელმძღვანელებს, 23-წლამდელებს ზურაბ ჭიღლაძე განწვრთნის, ახალგაზრდულ ნაკრებს - ემზარ ბედინეიშვილი, ხოლო ჭაბუკებს - გია კვინიკაძე.

ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში არ დადასტურდა ქომაგთა მოლოდინი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის – ზაზა სილაგაძის ეროვნულში გადაყვანის შესახებ. ეს ადგილი ფედერაციამ ბექა როყვას ანდო. სილაგაძე კვლავ ახალგაზრდებს განწვრთნის, 23-წლამდელთა დამრიგებელი ოთარ ტატიშვილი იქნება, ჭაბუკები კი ხვიჩა ქორიძეს ჩააბარეს.

ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ახალი დამრიგებლები თავიანთ სამწვრთნელო შტაბებს უახლოეს მომავალში დაასახელებენ.

ბადრი იაშვილი

◎ ჩოგბურთი

ნიკოლოზ ბასილაშვილი საერთაშორისო რეიტინგში 20 ადგილით დაწინაურდა

საქართველოს ნომერ პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) განახლებულ რეიტინგში ერთბაშად 20 ადგილით დაწინაურდა და 714 ქულით 67-ე პოზიციაზე იმყოფება. ბასილაშვილისთვის ასეთი მოწინავე ადგილი კარიერაში სარეკორდოა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველმა აღნიშნული წინსვლა სოფიის ტურნირზე გამოსვლით დაიმსახურა. ნიკოლოზმა ბულგარეთის დედაქალაქში სამი შეხვედრა მოიგო და ნახევარფინალში გასვლით 90 სარეიტინგო ქულა შეიმატა. სოფიის ღია პირველობაზე ნიკამ პირველ წრეში ადრიან მანარინო (2:0) დაამარცხა, შემდეგ შეჯიბრებას მსოფლიოს მერვე ჩოგანი და ტურნირის პირველი ნომერი დომინიკ ტიმი (2:0) გამოთიშა. მეოთხედფინალში მარტინ კლიჟანი იმსხვერპლა (2:1), მაგრამ ნახევარფინალში მომავალ გამარჯვებულთან გრიგორ დიმიტროვთან წააგო (0:2).

ბასილაშვილი ბულგარეთიდან ამერიკაში გაემგზავრა, სადაც მემფისის ღია პირველობაზე იასპარეზებს. 1/16-ფინალში ქართველის მეტოქე ჯორდან ტომპსონი იქნება. ამერიკელი რეიტინგში ერთი ადგილით დაწინაურდა და 63-ე პოზიციაზე იმყოფება. მეტოქენი ერთმანეთს მიმდინარე წლის 10 იანვარს სიდნეის ტურნირის პირველ წრეში შეხვდნენ და მაშინ ტომპსონმა 7:5, 6:2 იმარჯვა. ამ წყვილში გამარჯვებული ხორვატ ივო კარლოვიჩს დაუპირისპირდება. ქართველისა და ამერიკელის შეხვედრა დღეს 19 საათზე დაიწყება.

სხვა ქართველ ჩოგბურთელთა რეიტინგს რაც შეეხება, ალექსანდრე მეტრეველმა ერთი ადგილით გაიუარესა შედეგი და 73 ქულით 504-ეა, ხოლო გიორგი ცივაძის რეიტინგი 12 ადგილით გაუარესდა და 20 ქულით 829-ე პოზიციაზეა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

უკვე მესამე წელია, რუსი მეჩოგნე ქალი მარია შარაპოვა საკუთარი ავტობიოგრაფიული წიგნის გამოშვებით „გვემუქრება“, მაგრამ გადის დრო და ან მარია ზარმაცობს და ვერ აბამს თავს წიგნის დაწერას, ანდა უბრალოდ შარაპოვამ ვერა და ვერ გამონახა საამისო დრო.

ახლა, როგორც ჩანს, რუსი მეჩოგნე ნამდვილად შეასრულებს დანაპირებს, რადგან რამდენიმე დღის წინათ შარაპოვამ ერთ-ერთ ცნობილ ბრიტანულ საგამომცემლო სახლთან გააფორმა კონტრაქტი და მიმდინარე წლის შემოდგომაზე მისი ავტობიოგრაფიული წიგნი უკვე მზის სინათლეს იხილავს.

როგორც მარია შარაპოვა გვარწმუნებს, წიგნს მთლიანად თვითონ დაწერს და არავის დაიხმარს. მარიას სურს, რომ მისი წიგნი იყოს გულწრფელობის ნიმუში და რამდენად გამოუვა ეს, ამას სულ მალე გავიგებთ.

როსტომ რაჭველიშვილი

განცხადება

2017 წლის 6 აპრილს, 13 საათზე, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. თელავი, ერეკლე II გამზირი №1) გაიმართება ართანა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია: თელავის მუნიციპალიტეტის, სოფ ართანას მიმდებარე ტერიტორიაზე 4.22 მგვტ დადგმული სიმძლავრის, მდ. დიდხევის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ერეკლე II გამზირი №1;
- შპს „ართანა ლოპოტა“-ს ოფისში -ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №37დ;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27. ელ. ფოსტა: j.akhvlediani@gamma.ge

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ართანა ლოპოტა“-ს ადმინისტრაცია.

განცხადება

2017 წლის 07 აპრილს 14:00 საათზე, ,,შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ადმინისტრაციულ ოფისში (მისამართი: ქ. ლანჩხუთი, დ. აღმაშენებლის №68), გაიმართება ,,შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ასფალტის წარმოება.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. ლანჩხუთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №68, ს/კ 27.06.48.177.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა №37;
- ,,შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ოფისი, ქ. თბილისი, ლომონოსოვის ქ. 11 (+995)) 595 000 226;
- შპს „ჯეოკონი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. 62-64. ტელ: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენლთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ. თბილისი, ლომონოსოვის ქ., 11, საკონტაქტო პირი: ლაშა გორგილაძე, ტელ.: (+995) 595 000 226. ელ. ფოსტა: eiasinohydro@gmail.com

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ადმინისტრაცია.

განცხადება

2017 წლის 5 აპრილს, 14 საათზე, ქ. ონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დავით აღმაშენებლის მოედანი №1) გაიმართება ბიოლოგიური ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის სოფ. სორის მიმდებარედ, ბიოლოგიური ნარჩენების, საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობა ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქ. ონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დავით აღმაშენებლის მოედანი №1)
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- მიხეილ სახვაძე. ტელ: 599 932 803; E-mail: mishelini07@yahoo.com ;
- ნიკოლოზ სოფაძე. ტელ: 597 72 88 71; E-mail: E-mail: nikasofadze@hotmail.com ;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს ადმინისტრაცია.

სასამართლომ მერიასთან გამართულ აქციაზე დაკავებულების ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლა

თბილისის საქალაქო სასამართლომ მერიასთან მიმდინარე აქციაზე დაკავებულების ნაწილი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლა. დაცვის მხარემ ითხოვა ჩანაწერები, რომელიც მათივე თქმით, ბრალდებულების უდანაშაულობის დამადასტურებელია. სასამართლოში სხდომა პირველ მარტამდე გადაიდო.

გუშინწინ თბილისის მერიასთან მიმდინარე აქციაზე 13 ადამიანი დააკავეს. საკოორდინაციო საბჭოს მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეები მოსამართლე ნატა ნაზღაიძის ოჯახისთვის თბილისის მერიიდან რამდენიმე მილიონის გადაცემას აპროტესტებენ და დავით ნარმანიასთან შეხვედრას ითხოვენ. აქციის მონაწილეებს შენობაში შესვლა უნდოდათ, თუმცა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს, რასაც ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

„რუსთავის აზოტიდან“ გათავისუფლებული აქციებს აგრძელებენ

„რუსთავის აზოტიდან“ გათავისუფლებულები აქციებს აგრძელებენ. დღეს პროტესტის მე-16 დღეა. ქარხნის უკვე ყოფილი თანამშრომლების მოთხოვნები უცვლელია. ისინი ხელშეკრულებების გადახედვასა და სამსახურში აღდგენას ითხოვენ.

რუსთავში ჩავიდნენ პროფკავშირთა გაერთიანების წარმომადგენლები როგორც საქართველოდან, ისე სომხეთიდან, ბელარუსიდან და ყირგიზეთიდან. გათავისუფლებულებს სოლიდარობას უცხადებს ინდუსტრიაში დასაქმებულთა გლობალური გაერთიანებაც.

„რუსთავის აზოტის“ ქარხნიდან 350-მდე თანამშრომელი ადმინისტრაციამ გასული წლის დეკემბრის ბოლოს, ახალი დირექტორის დანიშვნის შემდეგ გაათავისუფლა. დათხოვნილი თანამშრომლები საპროტესტო აქციებს პერმანენტულად მართავენ.

ქარხნის მფლობელი დათხოვნილებს 3 თვის განმავლობაში 500-ლარიან კომპენსაციას სთავაზობს, რაც გათავისუფლებულებისთვის საკმარისი არ არის.

სანთელი

უახლოესი მეგობრები გურამ გვეტაძე, ჯონი ჩხენკელი, ჯემალ კანდელაკი, მერაბ მერაბიშვილი, თამაზ სულუხია, გურამ რუხაძე, ანზორ ბერაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ზურაბ ბალანჩივაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

მედიცინა

ყველაზე საშინელი დაავადებანი

კაცობრიობა მრავალი სნეულებით ავადდება, მაგრამ მათ შორისაც არიან განსაკუთრებულად გამორჩეული. ზოგიერთ მათგანზე წინა პუბლიკაციაში გვქონდა ლაპარაკი.

- **პორფირის დაავადება.** ესაა გენეტიკური დაავადება, რომელიც პორფირინების დაგროვებას იწვევს. პორფირინები — ესაა ორგანული შენაერთები, რომლებიც ორგანიზმში სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებენ, მათ შორის სისხლის წითელ ნაწილაკებს აწარმოებენ. სნეულება მთელ ორგანიზმს ედება, უწინარესად კი ღვიძლი ზიანდება. გარდა ამისა, ეს დაავადება ასევე სახიფათოა ადამიანის ფსიქიკისთვის.

კანის ამ დაავადებით დასნეულებულმა ადამიანებმა თავი უნდა აარიდონ მზის სხივებს, რომლებიც ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე ცუდად ზემოქმედებენ. მიჩნეულია, რომ სწორედ პორფირით დაავადებულ ადამიანთა არსებობა გახდა ვამპირებისა და მაქციების შესახებ ლეგენდების წარმოშობის მკვებავი წყარო.

- **კანის ლეიშმანიოზი.** ეს ავადმყოფობა განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებშია გავრცელებული. მისი მატარებლები მოსკიტები არიან, რომლებიც ადამიანის სისხლს წამლავენ — ასეთი მოსკიტის მიერ დატოვებული პარაზიტი სხეულს ჭამს. ერთი შეხედვით უწყინარი კბენა, შემდეგ საშინელ ჩირქოვან წყლულად გადაიქცევა ხოლმე. ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებით საშიშია სახეზე ნაკბენი, რადგან მათ მორჩენას ძალიან დიდი დრო სჭირდება. აუცილებელი მკურნალობის გარეშე ადამიანი შეიძლება დაიღუპოს კიდეც. ამ სნეულებით განსაკუთრებით ბევრი ავღანელია დაავადებული.

- **სპილოს ავადმყოფობა.** ეს სნეულება ადამიანის ორგანიზმში პარაზიტული ჭიების მოხვედრითაა გამოწვეული. გამღიზიანებელ ტუტე ნიადაგთან დაავადებულ ადამიანს კონტაქტის შედეგად ფეხები საშინლად უსივდება, კანი კი უსქელდება. ავადმყოფობა აფრიკის ტროპიკულ რაიონებშია გავრცელებული და ას მილიონზე მეტ კაცს აქვს შეყრილი. სნეულებს საშინელი თავის ტკივილები და პირღებინება აწუხებთ. ავადმყოფობასთან ბრძოლის ყველა ეფექტიანი საშუალებაა საგანგებო ანტიბიოტიკები, ხოლო ყველაზე მიშვებულ შემთხვევებში აუცილებელი ხდება ქირურგიული ჩარევა, ანუ კიდურის მოკვეთა.

- **ნეკროტიული ფასციტი.** პატარა-პატარა ჭრილობები, მირტყმების შედეგად ჩალურჯებები ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამდევია. ჩვენ მათ უმტკივნეულოდ ვიშუშებთ, ოღონდ იმ პირობით, თუკი ჭრილობაში ბაქტერიები არ მოხვდა, რადგან მაშინ პატარა ხიფათი, შესაძლოა, სიცოცხლისთვის დიდ საფრთხედ იქცეს. მერე ბაქტერიები ადამიანის ქსოვილებს იმდენად აზიანებენ, რომ სიცოცხლის გადარჩენა მხოლოდ კიდურის მოკვეთითაა შესაძლებელი. ავადმყოფებს ანტიბიოტიკებით მკურნალობენ, მაგრამ ინტენსიური მედიკამენტოზური ჩარევის მიუხედავადაც კი, 30-40 პროცენტ შემთხვევაში კაცი იღუპება.

(დასაწყისი იხ. „სრ“ №34)

◎ საუფლო დღესასწაული

მირქმა-მიგებება
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი



15 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მაცხოვრის მირქმა-მიგებებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე იმ სასწაულ ღამეს (რომელსაც შობა ჰქვია) იშვა და 40 დღის შესრულების შემდეგ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ: წესისამებრ ახალნამშობიარევ დედას არა აქვს უფლება ტაძარში იაროს, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვები.

დედა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვები არ სჭირდებოდა, რადგან ის ქალწულად დარჩა, მაგრამ მან მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

საგულისხმოა, რომ დედა ღვთისმშობელს და მართალ იოსებს, რომლებიც ტაძარში ჩვილით მივიდნენ, მიეგება სულიწმინდის მადლით ცხებული სვიმეონ-მართალი-მიმრქმელი.

სვიმეონ მიმრქმელი იყო ერთ-ერთი 70 ებრაელთაგან, რომელთაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნათ ბიბლია...

აღსანიშნავია, რომ წმინდა სვიმეონთან ერთად ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი — ანა წინასწარმეტყველი, ისიც გახდა უფლის მირქმის (მიგებების) ხილვის ღირსი.

განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან ამ დღესასწაულს მირქმის სახელობის ტაძარში.

გიული ლიპარტია



ყველაზე, ყველაზე ბედნიერი

დედამიწაზე ყველაზე ბედნიერ ადამიანად მეცნიერები ტიბეტელ ბერ მატიე რიკარს მიიჩნევენ.

ამჟამად იგი 70 წლისაა და დიდი ხნის მანძილზე ნეირობიოლოგ რიჩარდ დევიდსონის გამოკვლევებში იღებს მონაწილეობას, რომელმაც ბერის ტვინს... 256 აღმნუსხველი მიუერთა. სკანირებამ რიკარის თავის ტვინის იმ უბნის გამა-გამოსხივების უჩვეულოდ მაღალი დონე აჩვენა, რომელიც გონებასთან, ყურადღებასთან, სწავლებასთან და მეხსიერებასთანაა დაკავშირებული. თავისი მრავალწლიანი გამოკვლევების ისტორიაში ასეთი რამ მკვლევარმა პირველად ნახა. თავის ტვინის ასეთი „ჭარბი აქტივობა“ ბერს ბედნიერებისთვის **„ანომალურად დიდ პოტენციალს და, ამავდროულად, ნეგატივის გამოვლინების უაღრესად დაქვეითებულ მიდრეკილებას ანიჭებს“.**

ბედნიერებას რიკარი უნარს უწოდებს, რომლის „სწავლაა საჭირო“. საამისოდ კი იგი ყოველდღე 15 წუთის განმავლობაში **ტვინის ვარჯიშის რჩევას იძლევა, რა დროსაც კაცმა მარტო კარგ რამეებზე უნდა იფიქროს.** დადებითი მუხტის მისაღებად საკვანძო ემოციებად კი იგი კეთილგანწყობასა და კაცთმოყვარეობას მიიჩნევს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ქალის იდუმალი სამყარო



„რადგან მელიან, მაშასადამე, ვჭირდები!“

ერთხელ ჰოლივუდის უკაშკაშეს ვარსკვლავს, მე-20 საუკუნის ჭეშმარიტ სექს-სიმბოლოს მერილინ მონროს მისმა ფსიქოანალიტიკოსმა ჰკითხა: „რატომაა, რომ გამუდმებით ყველგან იგვიანებთ?“

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მერილინ მონრო ამ შემთხვევაში გამონაკლისი სულაც არ იყო: ძალიან ბევრი ქალბატონი პაემნებზე ხშირად იგვიანებს, თანაც მრავალ შემთხვევაში ეს თითქმის მექანიკურად, ერთგვარად უნებლიედაც ხდება. ამდენად, ერთობ საგულისხმოა პასუხი, რომელიც შეუდარებელმა მერილინმა თავის ფსიქოანალიტიკოსს გასცა: „მე იმიტომ ვიგვიანებ, რომ კიდევ ერთხელ მინდა დავრწმუნდე, რომ ჯერაც სასურველი ვარ. რადგან მელოდებიან, მაშასადამე, ვჭირდები“.

როგორც ჩანს, უამისოდ მერილინი თავის მიმზიდველობაში შინაგანად ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, ამიტომ პაემანზე დაგვიანება მისთვის საკუთარი პერსონის მნიშვნელობის დადასტურების გაუთვითცნობიერებელი სურვილი იყო.

ისე კი, ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ **დაგვიანება — ესაა ორგანიზმის დაცვითი რეაქცია:** თუკი ადამიანი აგვიანებს, მაშასადამე, მის ფსიქიკას ეს რაღაცაში სჭირდება. დაგვიანების მიღმა შეიძლება იმალებოდეს ყურადღების მიპყრობის არარეალიზებული მოთხოვნილება: არა უშავს, ცოტა ინერვიულოს, მოუხდება...

თუმცა კი ისიცაა, რომ, სამწუხაროდ, ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც თავის თავს სხვებზე მაღლა აყენებს და დადგენილი ნორმების დარღვევით მხოლოდ საკუთარი პერსონის საამებლად იქცევა: მინდა — დროულად მივალ, მინდა — დავაგვიანებ... გარდა ამისა, დაგვიანება პროტესტის ნიშნადაც შეიძლება მივიღოთ.

მაგრამ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქრონიკული დაგვიანებების მიზეზი, შესაძლოა, ადამიანის დროსა და სივრცეში ორიენტირების დარღვევა იყოს.

საქართველო აზიური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე

საფრანგეთში ვეზულის აზიური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს.

წელს ფესტივალის ფოკუსში საქართველოა.

საერთაშორისო საკონკურსო პროგრამის ჟიურის ერთ-ერთი წევრი ქართველი რეჟისორი რუსუდან ჭყონიაა.

ფესტივალზე ჭყონიას ფილმი „გაიღიმეთ“ ტელეხიდის მეშვეობით ერთდროულად 2 ქალაქში, ვეზულში და ბელფორდში აჩვენეს.

კინოფესტივალმა ქართულ კინოს არაერთი ღონისძიება მიუძღვნა. გაიმართა საქართველოს წვეულება და შემდეგი ქართული ფილმების რეტროსპექტივა:

„მაგდანას ლურჯა“ (რეჟისორები: თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე)
„მონანიება“ (რეჟისორი: თენგიზ აბულაძე)
„აპრილი“ (რეჟისორი: ოთარ იოსელიანი)
„გიორგობისთვე“ (რეჟისორი: ოთარ იოსელიანი)
„პასტორალი“ (რეჟისორი: ოთარ იოსელიანი)
„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (რეჟისორი: ლანა ღოღობერიძე)
„დღეს ღამე უთენებია“ (რეჟისორი: ლანა ღოღობერიძე)
„სამანიშვილის დედინაცვალი“ (რეჟისორი: ელდარ შენგელაია)
„მანდარინები“ (რეჟისორი ზაზა ურუშაძე)
„გაიღიმეთ“ (რეჟისორი: რუსუდან ჭყონია)
„ძმა“ (რეჟისორები: თეონა და ტიერ გრენადეები)

ვეზულის აზიური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საფრანგეთში ყოველწლიურად 1995 წლიდან ტარდება და იგი აზიური ფილმების კინოფესტივალების საუკეთესო ათეულში შედის.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6288; ევრო - 2.7957;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2892;
100 რუბლი - 4.5355; თურქული ლირა - 0.7120;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5160;
1000 სომხური დრამი - 5.4024.

ამინდი 15 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -7, დღე +5
მთიანი რაიონები - ღამე -13, დღე 0
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +4
მთიანი რაიონები - ღამე -9, დღე +1
თბილისი: ღამე -3, დღე +4

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge